# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 4 მაისი. 2023 წ. №50 (9582) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


# მოსყიდული ოპოზიციის და აგენტურის ამოსაშანთად!

## ჯემალ დავლიანიძე:

## „დილემა კაცობრიობის წინაშე“



დინების მიმართულებით მხოლოდ მკვდარი თევზები მოძრაობენ!..
ზვიად გამსახურდია

2023 წლის 31 მარტს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა კონფერენცია, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხსოვნას და დაბადებიდან 84 წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენციის წინაშე წარსდგა ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი, ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლი ჯემალ დავლიანიძე.

მისი მოხსენების თემა იყო „დილემა კაცობრიობის წინაშე“.

ყველა გათვითცნობიერებული ქართველისთვის კრაგადაა ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდიამ 70-იან წლებში სწორედ ამ სათაურით შექმნა შესანიშნავი ესეი, რომელმაც თავის ავტორთან ერთად განიცადა უსასტიკესი რეპრესია და მზის შუქი მხოლოდ 1991 წელს იხილა.

ჯემალ დავლიანიძის მოხსენება, პირველ რიგში, მიმართული იყო ჩვენი ახალგაზრდა თაობისა და მოსახლეობის იმ ნაწილისადმი, ვინც დღემდე ვერ გაისიგრძეგანა, რა მოხდა ოთხმოცდაათიან წლებში, როცა სულ ახლად თავისუფლებამოპოვებული საქართველოს ეროვნული ხელისუფლება სამხედრო გადატრიალების გზით დაამხო მსოფლიოს აგრესიულმა ლიბერალურმა „ელიტამ“ და მათ მითითებებს აყოლილმა, მოსყიდულმა ოპოზიციამ ანუ უცხო ძალებთან პირშეკრულმა აგენტურამ!

კაცობრიობა კვლავაც დგას უმძიმესი დილემის წინაშე, რაც კეთილსა და ბოროტს შორის გაუთავებელ ბრძოლაში მდგომარეობს, რომ საქართველო დღესაც უდიდესი ხიფათის წინაშეა, რის შესახებაც ნათლად მეტყველებს ამ გაზაფხულზე, 7-8 მარტს თბილისში, მთავრობის სასახლესთან მომხდარი პროვოკაციული ჯანყი და კვლავაც არ არის გამორიცხული, 1991-1992 წლებში მომხდარი, დამღუპველი ე.წ. „სახალხო რევოლუცია“ განმეორდეს!

ფხიზლად და ჭკუით, ქართველებო, „ქართულო ოცნებავ“ და გულანთებულო ახალგაზრდობავ!

**„ს.რ.“ რედაქცია**

იხ. 3 გვ.

## გია გაბრიჭიძე:

### ბუზი, მინისტრი და პრესის თავისუფლება

(5)

## ირაკლი კობახიძე:

### კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ ვერავითარ კომისიას ვერ შექმნის!

(4)

## გივი შეყილაძე:

### თუ დაკარგე მადლი, კარგავ ყველაფერს!

(9)

**როგორ იქმნებოდა ბიბლიის აუდიოვერსია**

## კიევმა მოსკოვს პირდაპირ კრემლში სდრუზა!



**კიევმა ღამით უპილოტო საფრენი აპარატებით კრემლზე დარტყმის განხორციელება სცადა,** – ამის შესახებ რუსული მედია რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება.

კრემლის ცნობით, ორი დრონი კრემლზე იყო დამიზნებული, სამხედროებისა და სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული დროული ქმედებების შედეგად კი, უპილოტო საფრენი აპარატები მწყობრიდან გამოიყვანეს.

როგორც რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აღნიშნავენ, თავდასხმის შედეგად, ვლადიმერ პუტინი არ დაშავებულა, მისი სამუშაო გრაფიკი კი არ შეცვლილა. კრემლის ტერიტორიაზე უპილოტო საფრენი აპარატების ჩამოვარდნის შედეგად არავინ დაშავებულა.

აღნიშნულ ქმედებებს რუსები დაგეგმილ ტერორისტულ აქციად და 9 მაისის აღლუმის წინ რუსეთის პრეზიდენტზე თავდასხმად აფასებენ.

**„რუსული მხარე იტოვებს უფლებას, მიიღოს საპასუხო ზომები იქ, მაშინ, სადაც და როცა ჩათვლის საჭიროდ“,** – ნათქვამია კრემლის განცხადებაში.

რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, კრემლში პუტინის რეზიდენციისკენ ორი უპილოტო საფრენი აპარატი იყო მიმართული. კრემლის განცხადებით, სპეცსამსახურების მიერ სარადარო საბრძოლო სისტემების დროული მოქმედებების შედეგად, მოწყობილობები ჩამოაგდეს, თუმცა სოციალურ ქსელში გავრცელებულ ერთ-ერთ ვიდეოში ნათლად ჩანს, რომ უპილოტო საფრენი აპარატი კრემლის შენობას ხვდება. მოწყობილობა, სავარაუდოდ „კამიკაძე“ დრონია.

**უპილოტო საფრენი აპარატების ფრაგმენტების ჩამოვარდნასა და მიმოფანტვას მსხვერპლი არ მოჰყოლია.**

## 9 მაისის აღლუმი მაინც გაიმართებაო!..

**კრემლის სპიკერის დიმიტრი პესკოვის განცხადებით, თავდასხმა 9 მაისის წინ განზრახ განხორციელდა, რადგან ღონისძიებაზე უცხოელი სტუმრების დასწრებაც არის შესაძლებელი.**

**პესკოვი აცხადებს, რომ ინციდენტი კრემლის გეგმებზე გავლენას არ მოახდენს და 9 მაისის აღლუმი წითელ მოედანზე გაიმართება.**

* * *

**კრემლის განცხადების გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე მოსკოვის მერმა სერგეი სობიანინმა რუსეთის დედაქალაქში დრონების გაშვება აკრძალა!**

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო: ჩვენც მტკიცე სული გვაქვს!



საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ეხმიანება ცალკეულ საინფორმაციო საშუალებებისა და პოლიტიკური დღის წესრიგით მოქმედი პირების მიერ აშშ-ის ევროპული სარდლობის მიერ ორგანიზებულ მრავალეროვნულ სწავლება „დამცველი 2023“-ში (Defender 2023) საქართველოს თავდაცვის ძალების მონაწილეობის საკითხის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას.

**„სამწუხაროდ, აღნიშნული მიკერძოებულად გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს მორიგ პროვოკაციას თავდაცვის უწყების მიმართ. საზოგადოებისთვის განვმარტავთ, რომ თავდაცვის ძალები მუდმივად მონაწილეობს და მასპინძლობს საერთაშორისო წვრთნებს საბრძოლო შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. მათ შორის, ყოველწლიურად მასპინძლობს საქართველო-აშშ-ის ერთობლივ, მასშტაბურ მრავალეროვნულ წვრთნებს, როგორიცაა „ღირსეული პარტნიორი“ და „მტკიცე სული“. 2022 წლიდან უკვე დაწყებულია შესაბამისი დაგეგმვის აქტივობები სწავლება „მტკიცე სული 2023“-ის წარმატებით ჩატარების მიზნით. უფრო მეტიც, ნატოს სხვა წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, მიმდინარე წელს თავდაცვის უწყებამ მონაწილეობა მიიღო ოთხ საერთაშორისო სწავლებაში, კერძოდ თურქეთში (WINTER 23), გერმანიაში (DYNAMIC FRONT 23), სლოვაკეთში (SLOVAK SHIELD 23) და ნიდერლანდებში (STEADFAST COBALT 23) და ასევე, წლის ბოლომდე დაგეგმილია სწავლებები თურქეთში (EURASIAN PEACE 23; ANATOLIA; ERCYIES), ესტონეთში (SPRING STORM 23), პოლონეთში (CWIX 23), ბულგარეთში (IMMEDIATE RESPONSE 23), რუმინეთში (SABER GUARDIAN 23), ინგლისში (SEA BREZZE 23), გერმანიაში (SABER JUNCTION 23; COMBINED RESOLVE 19), აზერბაიჯანში (CAUCASIAN EAGLE 23; ETERNITY 23), იტალიაში (SJEX/STEADFAST JACKAL) და საქართველოში (MAPLE ARCH 23), რომლებშიც ქართველი სამხედროები იქნებიან ჩართულნი.**

**რაც შეეხება უშუალოდ სწავლება „დამცველი 2023“-ში (Defender 2023) საქართველოს მონაწილეობას, მოგახსენებთ რომ, თავდაცვის ძალების მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან აქტიური კომუნიკაციითა და მათი რეკომენდაციით გადაწყდა, მეტი ძალისხმევა და რესურსები მიმართულიყო ისეთ საერთაშორისო და ადგილობრივ სწავლებებზე, რომლებიც უფრო მეტად ითვალისწინებენ ზემოთ აღნიშნულ ამოცანებს, მათ შორის საბრძოლო მზადყოფნის გაზრდას, ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთთავსებადობის ამაღლებას, გამოცდილების გაზიარებას და პროფესიული უნარების გაუმჯობესებას“,** – წერია განცხადებაში.

# ირაკლი ქარქაშაძე: ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი აქტიურად ჩაერთვება ყველა იმ მნიშვნელოვან ღონისძიებაში, რომელიც ქუთაისს და იმერეთის რეგიონს უკავშირდება




**ქუთაისში „გვირილობის“, იგივე „ქუთაისქალაქობის“ დღესასწაულს წელს, პირველად, საქართველოს აეროპორტების გაერთიანება შეუერთდა.** ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გაფრენის დარბაზში ადგილობრივი ხელოვანების 30-მდე ფერწერული და სკულპტურული ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. ინფორმაციას საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ავრცელებს.

**„გამოფენა იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ მოინახულა და საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორთან, ირაკლი ქარქაშაძესთან ერთად დაათვალიერა.**

**„ქუთაისქალაქობის“ დღესასწაული წელს შევეცადეთ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ყოფილიყო წინა წლებთან შედარებით. კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა ლოკაციაზე ქუთაისში რამდენიმე დღის განმავლობაში იქნება ღონისძიებები. აქტივობებს წელს პირველად შეუერთდა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი და წარმოდგენილია ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრები, რაც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ქუთაისობის დღესასწაულს“, – განაცხადა ზვიად შალამბერიძემ.**

**საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორის, ირაკლი ქარქაშაძის განცხადებით, სამომავლოდ, აეროპორტების გაერთიანება, როგორც რეგიონის ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელი, აქტიურად იქნება წარმოდგენილი ყველა იმ მნიშვნელოვან ღონისძიებაში, რომელიც ქუთაისს და იმერეთის რეგიონს უკავშირდება.**

**„გვირილობის“, იგივე „ქუთაისქალაქობის“ დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები ქუთაისში 6 მაისამდე გრძელდება და რეზო გაბრიაძის წიგნის „ჩემი პატარა ქალაქის“ პრეზენტაციით დასრულდება“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# კანონმდებლობაში „ვენახების ერთიანი კადასტრის“ ტერმინი შემოდის

**„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტით, „ვენახების ერთიანი კადასტრის“ ტერმინის განმარტება ხდება.**

პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის შესახებ პირველი მოსმენით, პრინციპების დონეზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველმა მოადგილემ, ნინო თანდილაშვილმა ისაუბრა. მისი განცხადებით, ბოლო წლების განმავლობაში ღვინის სააგენტომ ბევრი იმუშავა, რათა ვენახების ერთიანი კადასტრი მომზადებულიყო. ნინო თანდილაშვილის თქმით, ამ მიზნით აღმოსავლეთ საქართველოში ეს პროცესები ინტენსიურ რეჟიმში წარიმართა, თუმცა საკანონმდებლო დონეზე ვენახების ერთიანი კადასტრის მომზადების საკითხები დარეგულირებული არ იყო.

**„შესაბამისად, საკანონმდებლო დონეზე აისახება ინფორმაცია, რომ ქვეყანას ვენახების ერთიანი კადასტრი ექნება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, ქართული ღვინისა და ყურძნის ჯიშების მიკვლევადობა გავზარდოთ და ვაწარმოოთ ხარისხიანი ღვინო, რაც ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქციაა“,** – აღნიშნა ნინო თანდილაშვილმა. „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი პარლამენტმა 82 ხმით მიიღო.



# ლარს მოსახლეობაში ნდობა დაუბრუნდა

**ლარის მუდმივმა გამყარებამ მოსახლეობაში ნდობა დააბრუნა. მართალია, სავალუტო და სამომხმარებლო ბაზარზე ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსასწორებელი, მაგრამ აშკარაა, რომ ქვეყნის მოქალაქეებში სტაბილურობის განცდა დაბრუნდა. ეკონომისტები კი ეროვნული ვალუტის კიდევ უფრო გაძლიერებას არ გამორიცხავენ.**

ფინანსისტი **ვახტანგ ჭარაია** ლარის გამყარებას დადებითად აფასებს და მოსახლეობაში ეროვნული ვალუტის ნდობის ამაღლებას მიესალმება.

**„ყველას ფსიქოლოგიურად მიაჩნია, რომ თუ ლარი მყარდება, ესე იგი ყველაფერი კარგადაა. გარკვეული დოზით ეს მართლაც ასეა, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს ექსპორტიორებიც, რომელთათვის ლარის გამყარება უცხოეთში მათ პროდუქციაზე ფასების ზრდას ნიშნავს. შესაბამისად, ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ ოღონდ ლარი გამყარდეს და მერე ყველაფერი კარგად იქნება, სწორი არ არის. თუმცა, რადგან ჩვენ იმპორტდამოკიდებული ქვეყანა ვართ, ლარის გამყარება მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის მისასალმებელია, განსაკუთრებით იმ პირობებში, თუ ამას პროდუქციაზე ფასების შემცირება მოჰყვება“,** – განაცხადა ჭარაიამ.

ეკონომისტები და საბანკო სფეროს სპეციალისტები მიუთითებენ, რომ საქართველოს ეკონომიკისთვის ლარის გამყარებას იმაზე მეტი დადებითი შედეგი მოაქვს, ვიდრე ექსპორტის პრობლემებია.

**„ბუნებრივია, როდესაც ექსპორტიორებზე ვსაუბრობთ, მათი ინტერესები უნდა გავითვალისწინოთ, თუმცა ასევე გასათვალისწინებელია ის სექტორები, რომლებიც ადგილობრივ ბაზარზე იმპორტთან არიან კონკურენციაში. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, ყველას ინტერესის გათვალისწინება. თუმცა მაკროეკონომიკურ დონეზე თუკი შევხედავთ, ჯამურად ლარის კურსი ექსპორტისა თუ იმპორტისთვის, გადამწყვეტი ფაქტორი არ არის.**

**ლარის გამყარება სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობების გაუმჯობესებას და ასევე ვალის ტვირთის შემცირებასა და იმპორტული პროდუქციის გაიაფებას განაპირობებს. შესაბამისად, ლარის გამყარების ეფექტი – დადებითია“,** – განაცხადა „თიბისის კაპიტალის“ მთავარმა ეკონომისტმა **ოთარ ნადარაიამ**.



რაც შეეხება იმას, თუ რა ამყარებს ლარს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის დეკანი განმარტავს, რომ ამისთვის უამრავი პარამეტრია. აქედან უმნიშვნელოვანესი კი სტაბილურობის განცდაა და მოლოდინი, რომ ეს სტაბილურობა გაგრძელდება.

**„როგორც წესი, ლარზე მოქმედებს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორები (გაცვლით კურსზე მოქმედი ვაჭრობის ელემენტი, ტურიზმის, ფულადი გზავნილების, ინვესტიციების საკითხები). ეს ყველაფერი, ბოლო პერიოდში პოზიტიური დინამიკით ვითარდება, უმჯობესდება ექსპორტი, ინვესტიციების შარშანდელი მონაცემები ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში,“** – განაცხადა „ბიზნესპარტნიორში“ **ვახტანგ ჭარაიამ.**

იხ. 11 გვ.





# ჯემალ დავლიანიძე:
# „დილემა კაცობრიობის წინაშე“

(პირველი გვერდიდან)

**თავის დროზე, ზვიად გამსახურდიამ დაინახა რა ხელისუფლება შეიძლება ძალისმიერად შეეცვალათ, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს თხოვნით მიმართა:**

**„ყველამ კარგად იცით, რომ მე არ ვეჭიდები თანამდებობას და უკიდურესად მძიმე და რთულია ჩემთვის ამ მოვალეობის შესრულება.**

**ჩემი ამ პოსტიდან წასვლა გამოიწვევს საქართველოს ადგილზე რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. აბსოლუტური გადაჭარბების გარეშე გეუბნებით – ფრჩხილებს არ ვხსნი. ყველამ დაძაბეთ გონება და განსაკუთრებით გთხოვთ, ბატონო ოპოზიციონერებო, თქვენ, რამეთუ არ იცით, რას ითხოვთ. ეს უახლოეს ხანში გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობის, როგორც ასეთის, სრულ დეზინტეგრაციას და დარღვევას, სრულ ანარქიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და პირველ რიგში, თბილისში და მე დაგიხატავთ თბილისს, იმ შემთხვევაში, თუ ეს ამბავი მოხდა.**

**თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უბნად დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება ერთადერთი ხელისუფლება – შეიარაღებული ბანდები და მათი ხელისუფლება. თითოეული უბანი იქნება შეიარაღებული ბანდის და მისი ხელმძღვანელის ხელში; მათ შორის იქნება შეიარაღებული ბრძოლა ძალაუფლებისთვის და ზეგავლენისთვის. იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა. მოიშლება ყველაფერი – ელექტროენერგია, გაზი, კომუნიკაციები, აღარ იარსებებს სამართალდამცავი ორგანოები, აღარ იარსებებს სურსათით მომარაგება და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. თბილისი, შესაძლოა, გადაიქცეს მკვდარ ქალაქად და საერთოდ შეწყვიტოს არსებობა....**

**...მომავალი თაობა არ გვაპატიებს თუ არ შევიგნეთ, ნორმალური ცხოვრების გზაა ჩვენი სახელმწიფოს კონსტრუქციული ძალების შეკავშირება, ნამდვილი ძმობა და გულწრფელი მეგობრობა.“**

„დილემა კაცობრიობის წინაშე“ – ეს შესანიშნავი ესეი ზვიად გამსახურდიამ 1977 წელს დაწერა.

მე ამ ნაწარმოებს 1978 წელს გავეცანი შორეულ ყიზლარში, კასპიისპირეთში, სადაც ზვიადი გადმოასახლეს და კატორღას იხდიდა.

იგი მომითხრობდა იმასაც, რაც მან შეგნებულად, სიფრთხილის გამო ამ ესეიში არ შეიტანა...

როცა გავისიგრძეგანე ამ „დილემაში“ ზვიადის ნათქვამნაფიქრი, მაშინვე ვუთხარი, რომ არც ერთი იმპერია, ე.წ. მსოფლიოს წამყვანი სახელწიფო, ამას არ მოუწონებდა და არც აპატიებდა!

პასუხად მწარედ ჩაიღიმა და მიპასუხა – „საბჭოთა იმპერიას, რა თქმა უნდა, მართლაც არ მოეწონება, მაგრამ სხვა, თავისუფალ სახელმწიფოებს რას ერჩიო?“

მას დემოკრატიით თავმომწონე სახელმწიფოების იმედი ჰქონდა, მაგრამ...

ზვიადი, როცა „დილემა კაცობრიობის წინაშეს“ წერდა, მე-20 საუკუნეს მთელი ორმოცი წელიწადი უკლდა. იმ ხანებში მსოფლიოში ჰომოსექსუალიზმი და სექსუალური, სხვა სახის გარყვნილებანი ფსიქიატრიაში მოიაზრებოდა. სურვილისდა მიხედვით არ იცვლიდნენ სქესს, ჭაბუკები საყურეებით, ხილაბანდებით არ იწონებდნენ თავს, კაცი კაცზე არ ქორწინდებოდა, მათი ჯვრისწერა ხომ ფიქრითაც კი წარმოუდგენელი იყო, არც მობილურ ტელეფონებში იჭვრიტებოდა დიდ-პატარა, ბებიებს სუროგატ დედებად არ აქცევდნენ და შვილიშვილებს მას არ აჩენინებდნენ...პორნოგრაფია ხომ საერთოდ იყო აკრძალული! ადამიანი ეროვნულობით ამაყობდა, არავინ ცდილობდა დოკუმენტებიდან მის გაქრობას და იერიში არ მიჰქონდათ აღმსარებლობაზე!

არც ნარკომანია იყო დაკანონებული!

მართლაც სხვა დრო იდგა!

დღეს XXI საუკუნეა, მაგრამ „დილემა კაცობრიობის წინაშე“, უფრო მძიმეა! იგი კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლაა! ომია, რომლის სასწორი ავბედითადაა გადახრილი სიავისკენ. კაცობრიობა უკვე კატასტროფის პირასაა! ათასგვარი პანდემია და ატომური იარაღია გამზადებული დედამიწის მოსახლეობის გასაჟლეტად!

**ახლა საკითხავია – ამგვარმა წესიერმა ადამიანმა, მთელი სიცოცხლე საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლმა, საღად მოაზროვნე და ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელმა, ზვიად გამსახურდია რომ ბრძანდებოდა, რითი ვერ მოიგო უკიდეგანო დემოკრატიული მსოფლიოს მმართველობის გული?**

ზვიადმა 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩაატარა რეფერენდუმი, რომლის კითხვა იყო:

„თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“

შედეგად: დიახ! – უპასუხა 3 266 285;

არა – 17 400 ამომრჩეველმა!

შემდგომ, საპრეზიდენტო კენჭისყრისას, ზვიად გამსახურდიას მოსახლეობის 87%-მა დაუჭირა მხარი. მხოლოდ 13 % აღმოჩნდა წინააღმდეგი!

და, სამწუხაროდ – მსოფლიოს თითქმის ყველა ე.წ. წამყვანი სახელმწიფო, თვით დემოკრატიულობით თავმომწონეებიც, 17 400 ამომრჩევლის ანუ 13%-ის მხარეზე აღმოჩნდა!

ამ დასკვნის დასამტკიცებლად საჭიროა გადავხედოთ, როგორც ამჟამინდელ, ისე, ოთხმოცდაათანი წლების მოვლენებს:

**მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, დიდი ხანია განუდგნენ დემოკრატიას. დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად (თითქოს დღევანდელ დღეზეა საუბარი, არადა, მას შემდეგ უკვე 30 წელიწადზე მეტია გასული! – ჯ.დ.), რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად. როცა მათ სურთ გააძლიერონ თავიანთი გავლენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უბრალოდ ამხობენ მას.**

**ზვიად გამსახურდია**



**2023 წლის გაზაფხულზე საქართველოში კვლავ დაიწყო ხელისუფლების დამხობის დიდი კამპანია! რაღაც ისეთ მნიშვნელოვანს შეეხო დღევანდელი მთავრობა, რამაც მიმკვდარებული, სააკაშვილის ოპოზიციას, ახალი, უფრო კი – არაქართული სულის გარდა, უცხოური ძალ-ღონეც შთაბერეს!**

აშკარაა, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სპეცაგენტურის გამომჟღავნებას, იმ პერსონების მხილებას აპირებდნენ, რომლებიც დიდ ჯამაგირს, გრანტებს, ჯილდოებს იღებენ საქართველოს საწინააღმდეგო შრომა-საქმიანობაში, რაც დაბეზღებასთან ერთად, უცხო ქვეყნების ბნელ გეგმათა განხორციელებაში მდგომარეობს!

არც ერთი იმპერია საკუთარ ფულს ტყუილუბრალოდ არ ჰფანტავს.

ჰოდა, ის, რაც ამ დღეებში ჩვენში მოხდა, ფარდის ახდა გახლდათ – ვინ ფინანსდებოდა და ვინ აფინანსებდა!

ჩვენებურად რომ ვთქვათ – კუდი მოეწვათ, თავიანთ მიერვე გამოგონილ, შექმნილ კანონებს რუსული შეარქვეს და უცერემონიოდ ჩაერივნენ საქართველოს შინაურ საქმეში!

იმდენად ემწარათ ამ კანონის მიღება, ტრიბუნა, პრესა, იარაღი და ოქრო ერთად ააპრიალეს.

რომ არა კანონის უკან გაწვევა, ქვეყნის დღევანდელი მთავრობის დამხობას შეეცდებოდნენ!

თუმც, ჩემი ვარაუდით, სამომავლოდ ისინი აღარ გაჩერდებიან, მით უმეტეს, გადაწყვეტილება საზღვარგარეთ მდებარე საიდუმლო შტაბში უკვე მიღებულია და თუ ხელისუფლება მარჯვედ, ყურადღებით არ იქნება, გამეორდება 1991-1992 წლები!

გადავხედოთ ოცდაათი წლის წინ მომხდარ უბედურებას, როცა ეროვნული ხელისუფლება დაამხეს!

დეკორაციები იგივეა დღესაც!

დამამხობლები, ანუ მსახიობები შეცვლილია მცირეოდენად, რადგან უმრავლესობა გარდაცვლილია, ოღონდ, ვინც ცოცხალია, ამ დღეებში პრესა-ტელევიზია-ინტერნეტით ჭექდა და მძვინვარებდა – ძირს რუსული ხელისუფლებაო!

ბრძოლის ველიც იგივეა!

და, რაც ყველაზე მთავარია – ამ გრანდიოზული კონცერტის, უფრო კი ორკესტრის, რეჟისორ-დირიჟორები ისევ „ისინი“ ბრძანდებიან!

დავიწყებ კითხვით:

**– რატომ არჩია ევროამერიკამ შევარდნაძე – ეს ძველი კომპარტიელი, საბჭოთა კავშირის კპ ცეკის პოლიტბიუროს წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, მთელი სიცოცხლე კომუნისტური პარტიის და საბჭოთა კავშირის მტერს, დისიდენტს, შემდგომ კი საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს – ზვიად გამსახურდიას?**

**რატომ ჩააწვინა ზვიადი საფლავში დემონურმა, ბნელმა, უფსკრულის ანგელოზთა სამყარომ?**

რატომ მოაყარა უხვი დაფინანსება შევარდნაძე-სააკაშვილს საზღვარგარეთმა (დასავლეთმაც, აღმოსავლეთმაც) და სად იყვნენ ისინი 1990-1991 წლებში, როცა საქართველომ თავი გაითავისუფლა და დამოუკიდებლობა აღიდგინა?

რატომ მოგვიწყვეს ბლოკადა?

რატომ არ მოგვაწოდეს საწვავი?

რატომ არ მოგვცეს ხორბალი?

შევარდნაძე-სააკაშვილი ფიზიკურად და სულიერად რაიმეთი აღემატებოდნენ ზვიად გამსახურდიას?

იქნებ უფრო ეროვნულები ბრძანდებოდნენ შევარდნაძე-სააკაშვილი?

მაინც, რა დაუშავა მსოფლიო დემონთა ლაშქარს და უკუნეთ ბნელეთში მიმალულ საბელადოს ზვიად გამსახურდიამ?

**პასუხი ერთია – ზვიად გამსახურდია ეროვნულ-ქრისტიანულ სახელმწიფოს შექმნას აპირებდა.**

**„მსოფლიო ახალი წესრიგით“ კი ეროვნული ქვეყნები უნდა წაიშალონ!**

1992 წლის იანვარში დაამხეს საქართველოს ხელისუფლება, მსოფლიო მართვადი ქაოსის მესვეურებმა და ყოველივე ისე ოსტატურად შენიღბეს, თითქოსდა საქართველოში „სახალხო აჯანყება“ მოხდა! იმჟამინდელი მთელი მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები აცხადებდნენ, რომ საკუთარი ხალხი, ხელისუფლებაშივე მყოფ ოპოზიციონერთა მეთაურობით დაუპირისპირდა დიქტატორს, ჩაუშესკუს, ტირანს, უზურპატორ პრეზიდენტს...

იხ. 6 გვ.

# შავი ძაფის გორგალი ბოლომდე უნდა გაიხსნას!



## ოპოზიცია ქოლ-ცენტრების საქმეში ხელისუფლების კვალს ეძებს!

## კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ ვერავითარ კომისიას ვერ შექმნის!

**პარლამენტის მიმდინარე კვირის პლენარული სხდომების დღის წესრიგში კენჭსაყრელ საკითხთა ნუსხაში, სასამართლოს საკითხზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი შეტანილი არ არის. პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, რომ ეს დღის წესრიგიდან კონკრეტული საკითხის ამოღებას არ ნიშნავს, რადგან პარლამენტის ბიურო პლენარული სხდომების დღის წესრიგს ყოველ ჯერზე ხელახლა ადგენს და დღის წესრიგის პროექტში საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი კენჭსაყრელ საკითხთა შორის არ არის.**

ოპოზიცია ახალ სტრატეგიას ირჩევს, რომლის მიხედვით, გუშინ და დღეს საკანონმდებლო ორგანოში სრულ მობილიზაციას გეგმავს, მიზანი ე.წ. ქოლცენტრების საკითხებზე საგამოძიებო კომისიების შექმნაა. სასამართლო სისტემის შემსწავლელი საგამოძიებო ჯგუფის ჩამოყალიბებას ოპოზიცია უკვე ორი კვირაა უშედეგოდ ცდილობს. მოსამართლეთა სოლიდარობის მოტივით უმრავლესობა რეგისტრაციაზე უარს ამბობს და კვორუმი ვერ იკრიბება.

სასამართლოსგან განსხვავებით, პირველად დგება ე.წ. ქოლცენტრებთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი სესიაზე. ოპოზიცია გახარიას პარტიის ინიციატივას მხარდაჭერას უცხადებს. პარტია „საქართველოსთვის“ პოლიტიკური საბჭოს წევრის, **ბექა ლილუაშვილის** განცხადებით, მან პარლამენტის თავმჯდომარეს სთხოვა, რომ მიმდინარე კვირის ბიუროზე დღის წესრიგში ჩაისვას ეს საკითხი.

**„დაველოდოთ როგორ მოხდება ამ პროცესის უზრუნველყოფა, რა პოზიცია ექნება პარლამენტის თავმჯდომარეს. ხელისუფლება, ფაქტობრივად, ბოიკოტს უცხადებს საკუთარ პარლამენტს და იყენებს პროცედურულ საკითხებს – კანონის დარღვევით იქნება ეს, თუ კონსტიტუციის დარღვევით, სხვა ყველაფერი, გარდა იმისა, რომ ოპოზიციის მიერ ინიცირებულია საგამოძიებო კომისიები, ზიანდება, რადგან სხვა საკითხები, ათეულობით კანონია კენჭსაყრელი, რომელზეც კენჭისყრა ვერ ხერხდება“,** – ამბობს **ბექა ლილუაშვილი.**

ტრანსნაციონალური დანაშაული, ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმე, კიდევ ერთი საკითხია, რომელზეც მმართველი გუნდი და ოპოზიცია განსხვავებულ აქცენტებს აკეთებს. ხელისუფლების ოპონენტები კვლავ ამტკიცებენ, რომ წლების განმავლობაში მოქმედი მსგავსი მასშტაბური დანაშაულებრივი სქემა ძალოვანი უწყებების მფარველობის გარეშე ვერ იმოქმედებდა და გახარიას პარტიის ინიციატივას, საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ, მიესალმებიან.

**„ქოლცენტრების“ და ამ ორგანიზებულ დანაშაულში, პირველ რიგში, ბრალეულობა მიუძღვის ხელისუფლებას. როგორ მოხდა, რომ საქართველო ამ პერიოდის მანძილზე გადაიქცა ორგანიზებული დანაშაულის ჰაბად? ამიტომ, ვფიქრობ, რომ ეს მათი პასუხისმგებლობაა და მე მხარს ვუჭერ ამ საგამოძიებო კომისიას. ძალიან კარგი იქნება, რომ კითხვები დაისვას, რომელსაც საგამოძიებო უწყებები არ სვამენ“,** – აცხადებს **ხატია დეკანოიძე.**

მმართველ გუნდში მიიჩნევენ, რომ ნებისმიერ საკითხზე პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნა აბსურდია. უმრავლესობაში ამბობენ, რომ ოპოზიცია ახლა ყველაფერს აკეთებს, რათა **დავით კეზერაშვილის** ბრალეულობიდან ყურადღების გადატანა მოხდეს.

**„ოპოზიციის გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით ისინი, ვინც არიან პირდაპირ დამოკიდებული კეზერაშვილის ფინანსებზე და გარკვეული პოლიტიკური ურთიერთობებიც გააჩნიათ, აღმოჩნდნენ საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში და ისეთი შთაბეჭდილების შექმნა უნდათ საზოგადოებაში, რომ თითქოს და საპარლამენტო კომისია მათი შემადგენლობით არის ერთადერთი და საბოლოო ინსტანცია, რომელიც სიმართლეს დაადგენს. გამოძიება მიმდინარეობს და ვფიქრობ, ძალიან მალე ბევრი რამ იქნება დადგენილი,“** – აცხადებს ვიცე-სპიკერი **გიორგი ვოლსკი.**

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** რადიკალური ოპოზიციის მიერ ე.წ. ქოლცენტრების საქმეზე პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივას მხარს არ უჭერს და აცხადებს, რომ პროკურატურამ გერმანელ კოლეგებთან ერთად ბევრად ადრე ამხილა დავით კეზერაშვილი.

**„წავიდნენ და გაეცნონ პროკურატურის დასკვნას საქმესთან დაკავშირებით. საქართველოს პროკურატურამ გერმანელ კოლეგებთან ერთად ბევრად უფრო ადრე, ვიდრე გამოქვეყნდებოდა BBC-ის მონაცემები, ამხილა „ქოლცენტრების“ საქმეში დავით კეზერაშვილი. ეს ყველაფერი არის იმ ყველაფრის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც რადიკალური ოპოზიცია აწარმოებს კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ. ისინი ღიად აწარმოებენ ამ კამპანიას და სასამართლოზე მორიგი შეტევაც ამის შემადგენელი ნაწილია. ჩვენ კონსტიტუციისა და რეგლამენტის ფარგლებში გავაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ რადიკალურმა ოპოზიციამ, კოლექტიურმა „ნაცმოძრაობამ“ სასამართლოს თემაზე არ შექმნას საგამოძიებო კომისია“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

ანალიტიკოს ზაალ ანჯაფარიძის შეფასებით, რადგან ქოლცენტრების საქმე ასეთი გახმაურებული აღმოჩნდა და ასეთი რეზონანსი გამოიწვია, ამ შემთხვევაში, ოპოზიცია ცდილობს პარლამენტში შეასრულოს თავისი ფუნქცია, რომ ჩაეძიოს ხომ არ არის ქოლცენტრების საქმეში გარეული ხელისუფლება, რომ მერე ეს გამოიყენოს მმართველი გუნდის წინააღმდეგ.

**„ერთადერთი მოტივაცია და მიზეზი ამ საგამოძიებო კომისიის შექმნისა, ეს არის. მათ ნაკლებად აინტერესებთ ქოლცენტრების საქმის დეტალები, მათთვის საინტერესოა და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი, რომ როგორმე ამით დაასუსტონ „ქართული ოცნება“. შესაბამისად, მე ვფიქრობ, რომ ისინი მიაწვებიან ამ საკითხს, სადამდეც შეუძლიათ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არის მათთვის „ქართული ოცნების“ პოლიტიკურად დასუსტების ერთ-ერთი ინსტრუმენტი.**

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** თვლის, რომ ქოლცენტრების საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნის ერთადერთი მიზანი არის პოლიტიკური შოუს მოწყობა და რადიკალური ოპოზიციისთვის პოლიტიკური ქულებისა და დივიდენდების მიწერის მცდელობა, რაც არის მცდარი და ამას არ დაუშვებს გონიერი, მმართველი გუნდი არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში.

**„რადიკალები და უსაქმურები, რომლებიც ვერაფერს სთავაზობენ არსებითს და კონკრეტულს საზოგადოებას, მხოლოდ იმითი არიან დაკავებულნი, რომ როგორმე შეარყიონ ქართველი საზოგადოების ცხოვრება, მაგრამ ამას არ დაუშვებს და ამაზე მუშაობენ ძალიან კომპეტენტური ადამიანები, როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში, ასევე, ევროპაში და რიგ სხვა ქვეყნებში, იქნება ეს ისრაელი, თუ სხვა ევროპული საგამოძიებო სტრუქტურები. ყველაფერს დაესმება წერტილი.**

**ეს გამოძიება შარშან ჩატარებული სპეცოპერაციებით, რომელშიც მონაწილეობდნენ გერმანიის სამართალდამცავები, საქართველოში ამითი არ დამთავრებულა და ეს აბლაბუდა, ეს შავბნელი ძაფის გორგალი ბოლომდე უნდა გაიხსნას. ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი. ამიტომ, ახლა არის ძალიან უბადრუკი მცდელობები, იქნება ეს გახარიას პარტია, „ნაცმოძრაობა“ და თუ მისი სხვადასხვა ნამსხვრევი, რომ მოაწყონ ამით პოლიტიკური შოუ. პოლიტიკური შოუ კი არაა მოსაწყობი, არამედ დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, აგონ პასუხი სამართლის წინაშე და ასეც დამთავრდება, უბრალოდ, ამას დრო სჭირდება. ეს არაა ის პროცესი, რომელიც შეიძლება ერთ-ორ კვირაში, ან ერთ-ორ თვეში დამთავრდეს, მაგრამ აუცილებლად დამთავრდება და გამოვლინდება ყველა ავაზაკი, რომელიც ამ შავბნელ ქსელში იყო ჩართული“,** – აღნიშნა გია აბაშიძემ.

**თამთა ქარჩავა**

# ვაის და ვუის ბოლომდე გავეყაროთ!..

**30 აპრილს, გიორგი გაჩეჩილაძის (უცნობი) და ზაზა პაპუაშვილის მიერ ორგანიზებულ აქციაზე არცთუ მცირე რაოდენობის ხალხი მივიდა – „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის წლების სამართლებრივი შეფასება, დასავლეთის მხრიდან ზეწოლის შეწყვეტა და პრეზიდენტის მიმართ უნდობლობა, – ეს ის ძირითადი მოთხოვნებია, რომელიც რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილმა აქციის მონაწილეებმა დააყენეს. დემონსტრაციაზე შეკრების მთავარ მიზეზად მშვიდობის შენარჩუნება დასახელდა.**

დემონსტრანტების მოთხოვნებს როგორც მოსალოდნელი იყო, ანტიდასავლურ რიტორიკას უკავშირებს ოპოზიცია. მათი ნაწილი, გაჟღერებულ იდეებს არარელევანტურსა და დროში აცდენილსაც კი უწოდებს.

ის, რაც ოპოზიციისთვის ანტიდასავლურად გამოიყურება, ღირსეული პარტნიორობის მოთხოვნაა „ხალხის ძალისთვის“. მოძრაობის ლიდერები აქციის მონაწილეთა რიტორიკას იზიარებენ და ამბობენ, რომ დასავლეთმა საქართველოსთან თანასწორუფლებიანი პარტნიორის ენით უნდა ისაუბროს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველა ჯგუფს აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებები ჰქონდეს და ამაზე ხმამაღლა ისაუბროს – ასეთია მმართველი პარტიის ლიდერების პოზიცია. სახელისუფლებო გუნდში განმარტავენ, რომ მწვავე გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე, მშვიდობის შენარჩუნების და გაფრთხილების სურვილი, ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია.

ისტორიკოსი და ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ამბობს, რომ 30 აპრილს აქციაზე მისულ ხალხს მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში გარე ძალები არ ერეოდნენ. ასევე არ აფინანსებდნენ იმ ჯგუფებს, რომლებიც მამულს, ენას და სარწმუნოებას ებრძვიან.

## „არაერთ იმპერიას ჭიაკოკონასავით გადავავხტით, იდენტობა არასდროს დაგვიკარგავს და გვსურს, ჩვენმა მეკავშირეებმაც თანასწორად აღგვიქვან და გვეთანამშრომლონ“

**„ტყუილია ვითომ ეს აქცია ანტიდასავლური იყო. ოპოზიციას ხალხის შეცდომაში შეყვანა უნდა, მაგრამ ხალხიც ხომ კარგად ხვდება, იქ რისთვის ვიყავით. იქ არავის უთქვამს, რომ საქართველო ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი არ უნდა იყოს. არავის უთქვამს, რომ ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია არ უნდა მოხდეს. ოღონდ ეს ქრისტიანულ ღირებულებებზე დაყრდნობილი უნდა იყოს, რომელიც იგივე ევროპაში არსებობს. ფოტიგების, კუბილიუსების და სხვა მექრთამე ევროპარლამენტარების შეხედულებებს არ უნდა გვახვევდნენ თავზე. ეს ხალხი სრულ თავხედობაშია გადასული და თავი ჩვენი ქვეყნის უფროსები ჰგონიათ. აქციაზე ყველა წყნარად იდგა, არ იყო დაპირისპირება და არც არავის აზრად მოსვლია პოლიციისთვის ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი ესროლა.**

იხ. 7 გვ.

# ყველა პარკი და სპორტული მოედანი სავსეა ახალგაზრდობით!



**დედაქალაქის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ტაქსიში მგზავრობის საფასურის გადახდა, მიმდინარე წლის 22 მაისიდან, სპეციალური QR კოდის მეშვეობითაც იქნება შესაძლებელი.**

მისი განცხადებით, QR კოდით გადახდა ნებაყოფლობითი იქნება და მისი დაკავშირება ნებისმიერ ანგარიშზე იქნება შესაძლებელი.

**„დღეის მდგომარეობით, ტაქსიში საფასურის გადახდა მხოლოდ ნაღდი ფულითაა შესაძლებელი, რადგან მძღოლებს საბანკო ტერმინალების შეძენის საშუალება არ აქვთ. კომპანია BKN301 Georgia-მ შემოგვთავაზა საინტერესო წინადადება. ვფიქრობ, ეს გადახდების მიღების ინოვაციური და სწრაფი მეთოდია QR კოდის გამოყენებით. ის შესაძლებელია მიება ნებისმიერი პირის ანგარიშის ნომერს“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნულ კოდებს მძღოლები 2023 წლის 22 მაისიდან დედაქალაქის სხვადასხვა სერვისცენტრში მიიღებენ.

თბილისის მერმა ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამაზეც ისაუბრა და სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებს პროგრამაში მეტი ჩართულობისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

**„ავარიული სახლების ჩანაცვლება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენ წარმოვადგინეთ კონკრეტული პროგრამა, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას, მსგავსი სახლები ახალი, თანამედროვე, ქართული არქიტექტურის შესაბამისი სახლებით ჩავანაცვლოთ, ხოლო იმ ადამიანებს, ვინც დღეს ავარიულ შენობებში ცხოვრობენ, ყველანაირად მოწესრიგებული საცხოვრებელი ფართები გადავცეთ. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ავარიული სახლების ჩანაცვლებას, რა პროცესშიც პრინციპულად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის თანამშრომლობა სამშენებლო კომპანიებთან“,** – აღნიშნა თბილისის მერმა.

კახა კალაძის თქმით, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, დაწყებულია ერთი კორპუსის მშენებლობა, ხოლო კიდევ 40 პროექტი განხორციელების სხვადასხვა ეტაპზეა.

დედაქალაქის მერის თქმით, ურბანული განახლება და ავარიული სახლების ჩანაცვლება ქალაქის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მუნიციპალიტეტის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე კახა კალაძემ ასევე აღნიშნა, რომ აპლიკაცია „ფიქს თბილისი“, რომლის საშუალებითაც მოქალაქეები ინფრასტრუქტურის დაზიანების შესახებ მუნიციპალიტეტის ინფორმირებას შეძლებენ, 15 მაისიდან ამოქმედდება.

**ამჟამად აპლიკაცია აერთიანებს საკითხთა ოთხ კატეგორიას, ესენია: საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანება, ხე-მცენარეების დაზიანება, გარეგანათების დაზიანება და საპარკო ინფრასტრუქტურის დაზიანება. შევეცდებით, დროთა განმავლობაში აღნიშნული ნუსხა კიდევ უფრო გავზარდოთ,** – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, აღინიშნა, რომ სამგორის რაიონში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩაზე სკეიტპარკი მოეწყო.

**„დედაქალაქის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროცესი. ბევრი ძალიან კარგი პროექტი განვახორციელეთ. პარალელურად, ქალაქში მიმდინარეობს რეკრეაციული სივრცეების მოწყობა, პარკების განახლება, რეაბილიტაცია, სკვერების კეთილმოწყობა. ფეხბურთის ფედერაციასთან კარგი თანამშრომლობა გვაქვს და ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ. ეს არის საფეხბურთო ცენტრების პროექტები, რომელიც ჩვენს შვილებს, მომავალ თაობებს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ისინი დაკავებული იყვნენ სპორტით, ფეხბურთით და, ზოგადად, მოვახდინოთ ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და დანერგვა. სამგორის რაიონში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩაზე ახლახან დავასრულეთ სკეიტ პარკის სამშენებლო სამუშაოები. ეს მიმართულება ახალგაზრდებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ძალიან მიხარია, რომ ყველა პარკი, სადაც ასეთი ტიპის პროექტი განვახორციელეთ, სავსეა ახალგაზრდებით. ეს მიდგომა მომავალშიც გაგრძელდება“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

კახა კალაძემ გუშინ საზოგადოებას უწყების კიდევ ერთი დამსახურებული თანამშრომელი, 95 წლის ალექსი აზმაიფარაშვილი წარუდგინა, რომელიც ამჟამად, „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“ მუშაობს.

# ბუზი, მინისტრი და პრესის თავისუფლება

**გუშინ, 3 მაისს პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე იყო!**

**ვისაც ეკუთვნის მოლოცვა, მართლაც გულწრფელად ვულოცავ, მაგრამ...**

**მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ დღეს ქართული ჟურნალისტიკა დიდი განსაცდელის წინ დგას.**

**დიახ, დიდი განსაცდელის წინაშე, რადგანაც უკულტურობა და უბნეობა ყოვლად საზიზღარი ფრაზებით – ჟუჟურნალისტიკა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას უტევს.**

გაუნათლებლობა და შინაგანი მორალის არქონა აშკარად გამოიწვია იმ ე.წ. თავისუფლების სიომ, რომელმაც საქართველოში 90-იან წლებში დაჰბერა. ახალგაზრდებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს თავის საქმიანობად ჟურნალისტიკა აერჩიათ, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ჩათვალეს, რომ ჟურნალისტიკაზე გადაღებული ჰოლივუდის ფილმები არის ამ პროფესიის ძირითადი სახელმძღვანელო, ხოლო ფრაზები – **ხალხს აქვს უფლება, იცოდეს სიმართლე; თუ კარიდან გაგდებენ, ფანჯრიდან შედი; ან რესპონდენტი უნდა „მიჩექმო“,** – პროფესიის მთავარი ხაზი.

ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რომ ახალგაზრდამ, რომელსაც სურს, სამხედრო პროფესიას დაეუფლოს, ისარგებლოს ფილმ „რემბოთი“, ან „წითელი მორიელით“ და არ შეისწავლოს სტრატეგია, ტაქტიკა, ლოჯისტიკა და სხვა მრავალი საგანი, რომელთა ცოდნაც აუცილებელია.

იმისათვის, რომ დაფარონ საკუთარი უცოდინარობა, უგემოვნობა, თვით-ცენზურის არქონა, რაღაც ფორმით „შეფუთონ“ საზოგადოებასთან დაპირისპირება, ქართულ მედიაში დაამკვიდრეს ახალი ტერმინები – კრიტიკული მედია და მედია-თავისუფლება.

ე.წ. კრიტიკულმა მედიამ (მიუხედავად იმისა, რომ განმარტებაში „კრიტიკული მედია“, არამც თუ საღი აზრი, ელემენტარული ლოგიკაც არ დევს, რადგანაც მედია უნდა იყოს ობიექტური! არც „კრიტიკული“ და არც „მეხოტბე“. მედია უნდა იყოს ობიექტური!!!), ერთმანეთში გააერთიანა 20-30-იანი წლების „პრავდა“, „ფოლკიშერ ბეობახტერი“ და ყოველგვარი ზღვარი გადალახა.

სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ისინი იმდენად ემონებიან თავიანთ ბელადს, რომ ბუხარინის მსგავსად მოიქცევიან. იმ ბუხარინის, რომელიც გაზეთ „იზვესტიას“ მთავარი რედაქტორი იყო და საკუთარი დანაშაულების შესახებ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ მასალებს, უკვე დაპატიმრებულმა თავად მოაწერა ხელი.

**„УБИВАЙТЕ, УБИВАЙТЕ, УБИВАЙТЕ, ЗА ВАС ОТВЕЧУ Я!“ (გერმან გერინგი).**

სწორედ აგრესიული ლიბერალიზმი გახდა ამ ხალხის გერინგი. აგრესიული ლიბერალიზმი, რომელმაც მედია-თავისუფლების დროშის ფრიალით სრული კარტ-ბლანში მისცა იმ მდაბიო ლუზერებს, რომლებიც ჟურნალისტის პროფესიას ამოეფარნენ და აღარ ერიდებიან არც გარდაცვლილი ადამიანის ჭირისუფალს, არღვევენ ბავშვთა უფლებებს, ღიად სწამებენ ცილს ადამიანებს.

მანიაკებზე გადაღებულ ფილმებში ხშირად არის ნაჩვენები ის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელშიც ადამიანი პოპულარობისკენ არის მიდრეკილი და იმის გამო, რომ ტელევიზიამ აჩვენოს, ყოველგვარ საზიზღრობაზე მიდის.

„თავისუფლების ინსტიტუტისა“ და მისი ჭუპრების მიერ, საქართველოში დამკვიდრებულმა ლიბერალიზმის დამახინჯებულმა ფორმამ, პირველ რიგში ყოვლად უნიჭო, უსაქმურ და რეალურ საქმიანობაში წარმატებელ ადამიანებს, თავიანთი მანიაკალური იდეაფიქსის – გახდნენ პოპულარულნი, რეალიზების საშუალება მისცა, რაც აიტაცეს გაუნათლებელმა და გამოფიტულმა მედიამუშაკებმა, რომლებიც სხვადასხვა მანქანებით მოხვდნენ ტელეკამერის განმკარგველ ადგილას, თავიანთი უნიჭობის მისაჩქმალად მოახდინეს მცნება „რეიტინგის“ არევა მცნება „ნახვადობასთან“ და მედიასივრცე უმდარესი პროდუქტით გაავსეს.

ასეთი მედიამუშაკებისგან ხშირად ისმის განცხადებები – ჩემი ტელევიზია ჩემი ოჯახია, ჩემი სტუდია – ჩემი სახლია დ.ა.შ.

არანაირად არ მესმის რატომ უნდა შეიყვანო სახლში იაფფასიანი პოპულარობის მსურველი ტიპები? ე.ი. მზად ხარ, რომ მეტი ნახვადობისთვის („ნახვადობა“ და არა „რეიტინგი“), საწოლ ოთახში მოისაქმო და ეს ყველაფერი ლაივში აჩვენო?

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქართველი ტელემაყურებელი ე.წ. „კრიტიკული“ მედიის მხრიდან“ „ჟურნალისტურ გამოძიებათა“ ფორსირებული შეტევის ქვეშ აღმოჩნდა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ – საზოგადოებას ობიექტური, დიახ ობიექტური და არა ე.წ. „კრიტიკული“ მედია სჭირდება და ეს აქსიომაა.

ამ კლასტერმა მცნება „ჟურნალისტური გამოძიება“ ფაქტობრივად გაიყვანა საყოველთაოდ აღიარებული ჟურნალისტური სტანდარტებიდან და როგორც საკუთარი პოლიტიკური ინტერესების, ასევე ფსიქოლოგიური, თუ მერკანტილური ვნებების დაკმაყოფილების იარაღად აქცია.

არ ჩამოვთვლი იმ ფაქტებს, რაც ამ მოსაზრებას ადასტურებს, რადგანაც ისინი ყველასთვის ცნობილია. უბრალოდ, გავიხსენებ ერთ-ერთი „კრიტიკული მედიის“ გენერალური დირექტორისა (აწ პატიმრობაში მყოფის) და ამავე ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის **ფბ** აღიარებებს, სადაც ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ მათთვის ნახვადობაა მთავარი ამოსავალი წერტილი და მის გასაზრდელად მზად არიან, აჩვენონ ყველაზე შემზარავი და ნორმალური ადამიანისთვის შემაძრწუნებელი კადრები.

იხ. 8 გვ.

## დღეს ჩვენ გვაქვს თავისუფალი, დამოუკიდებელი და პლურალისტური მედიასივრცე

**პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს ვულოცავ ყველა ჟურნალისტს, ვინც კეთილსინდისიერად და ერთგულად ემსახურება თავის პროფესიას.**

**უტყუარი და დაბალანსებული ინფორმაციის გავრცელება ჟურნალისტის ის პასუხისმგებლობაა, რომელიც საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინაშე აქვს აღებული და რომლის განუხრელად შესრულებას საზოგადოების მხრიდან მისი დიდი დაფასება მოჰყვება. სწორედ ამ პრინციპებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული საქმიანობა იწოდება მსოფლიოში მაღალპროფესიონალურ და თავისუფალ ჟურნალისტიკად, რადგან ამ სტანდარტის დაცვა ქმნის ქვეყანაში დემოკრატიული განვითარების მყარ საფუძველს.**

**თავისუფალი პრესა არის როგორც ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხის, ისე მისი დემოკრატიულობისაკენ სწრაფვის ნიშანი. ჩვენს ქვეყანაში არსებული მედიაგარემო წლების განმავლობაში იცვლებოდა, თუმცა დღეს ჩვენ გვაქვს თავისუფალი, დამოუკიდებელი და პლურალისტური მედიასივრცე. კიდევ ერთხელ ვულოცავ პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს ყველა ჟურნალისტს და ვუსურვებ წარმატებას პროფესიულ საქმიანობაში.**

**ირაკლი ღარიბაშვილი.**



## ჯემალ დავლიანიძე:

# „დილემა კაცობრიობის წინაშე“



**— სწორედ ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ჭეშმარიტ ადამიანად. ეროვნება არა აქვს ცხოველს!**

**ზვიად გამსახურდია**

(მესამე გვერდიდან)

**ფაქტია, 1992 წლის სამხედრო გადატრიალების დროს და შემდეგაც, სანამ შევარდნაძე წელს მოიმაგრებდა, მსოფლიო ე.წ. წამყვანი სახელმწიფოები დაყრუვდნენ. დემოკრატია, ადამიანის თავისუფლება „გადაავიწყდათ“ და 1993 წელს საქართველოში დაგრუნებული ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტი განდეფორმირებების უფროსად და ტერორისტად ოფიციალურად გამოაცხადეს.**

**სიმართლეა თუ არა ეს სიტყვები?**

აგერ, ამისი დამამტკიცებელი დოკუმენტიც – სამთავრობო გაზეთი „საქართველოს რესაპუბლიკა“ (№263, 1992 წ. 29 დეკემბერი) სადაც შევარდნაძე, საქართველოში მისი ხელით მოწყობილ სამხედრო გადატრიალების წლისთავზე აცხადებს:

„როცა ექსპრეზიდენტის მომხრეებზე ვლაპარაკობთ, მგონია, ცოტას ვაჭარბებთ, რადგან კაცს, რომელიც ცნობილ ტერორისტად არის აღიარებული, არა მგონია, მხარდამჭერები ჰყავდეს. ტერორისტები არსად არავის არ უყვარს.“

ეს განცხადება, ფაქტიურად, სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო და კიდეც აღასრულეს 1993 წლის დეკემბრის ბოლოს. უარესი კი, რასაც თურმე დღემდე ჩქმალავენ ე.წ. სათანდო ორგანოები, გახლდათ – 1999 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის გადაწყვეტილება, რომ „ზვიადის მომხრეები, ყველა პირწმინდად მსოფლიო ტერორისტთა სიაში შეეყვანათ!“ რა თქმა უნდა, მათ შორის ზვიად გამსახურდიას ამომრჩეველთა 87%-იც მოვიაზრებოდით...

გაოცდება ადამიანი, ასეთი რამ მართლაც მოხდა თუ არაო? მეც მიკვირს, მაგრამ არსებობს ასეთი ფაქტი: 1999 წელს გამოსულ გაზეთ „ახალ თაობაში“ (№119), დაბეჭდილია წერილი, რომლის ავტორია ჟურნალისტი (თანაც არა ზვიადის მომხრე!) გულიკო ბალაძე. პუბლიკაციის სათაურია: „ზვიადისტების საერთაშორისო ტერორისტთა სიაში შეყვანა არამართებულია.“

ჟურნალისტი რამდენჯერმე იმეორებს, რომ: „საქართველოს ციხეებში და ციხის გარეთ მყოფი ყველა ზვიადისტის“ ტერორისტთა სიაში შეყვანა აღშფოთებას იწვევსო!

არადა, ზვიადი საქართველოს მოსახლეობის 87 პროცენტმა აირჩია პრეზიდენტად!

დღეს, მისი სახელით ისინიც კი იწონებენ თავს, რომლებიც მას ებრძოდნენ!

მაშ, არ არის ცინიზმი, როცა ორიათასიან წლებში, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე, გაზეთ „ახალი თაობის“ ჟურნალისტს გულიკო ბალაძეს კითხვაზე:

– ქალბატონო ელენე, მაინც, ვისგან შეიძლება გავრცელებულიყო აზრი ზვიადისტების საერთაშორისო ტერორისტებად მონათვლაზე?

ელენე თევდორაძე პასუხობს:

– ვერ გეტყვით! არ ვიცი!

აბა, დააკვირდით, თევდორაძე კი არ უარყოფს ამ საშინელებას, არამედ „არ ვიცის“ ეფარება!

გულიკო ბალაძემ ამერიკის კონგრესის მიერ ტერორისტთა სიების შედგენა ახსენა 1999 წელს.

მაშასადამე, 1992 წლიდანვე, მთელ მსოფლიოში, რომელიც ედუარდ შევარდნაძეს უჭერდა მხარს, – სწორედ ეს აზრი იყო გავრცელებული, რომ ზვიად გამსახურდია „ცნობილი ტერორისტი“ იყო ყველა თავის მომხრესთან ერთად!

ისეა თუ ასე, ეს საქმე მაშინვე მიჩუმათდა, რადგან ჩანაფიქრი, სამხედრო გადატრიალების შემდეგ გაენადგურებინათ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, აღასრულეს!

აღასრულეს და მოისვენეს, როგორც ხიროსიმა-ნაგასაკის უბედურების შემდეგ, რომელსაც ისტორიაში ჩასაწერად ამ საშინელებისავე ჩამდენებმა ამაყად უწოდეს „აუცილებელი ბოროტება“!

1991 წელს საქართველოს ესტუმრა აშშ-ს ექსპრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი.

ყოფილი პრეზიდენტების და სახ. მდივნების ვიზიტები სხვადასხვა ქვეყნების მიზანსწრაფვების დასადგენად, ევროამერიკელთა აპრობირებული ხერხია!

ნიქსონს დავალებული ჰქონდა, დაედგინა – რა ტიპის სახელმწიფოს აშენებას აპირებდა მაშინდელი საქართველოს ხელისუფლება...

დაბრუნდა თავის ქვეყანაში და მოქმედმა პრეზიდენტმა, მამა ბუშმა სულ მალე უკრაინაში ვიზიტისას განაცხადა:

„ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს“!

უკვე გასაგებია, რომ ნიქსონმა საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შესთავაზა:

მხოლოდ ევროამერიკულ სივრცეში ყოფნა!

მხოლოდ ნატოში გაწევრება!

მხოლოდ რუსეთთან დაპირისპირება!

ზვიადი კი, ძალიან ფრთხილად ეკიდებოდა ნატოში საქართველოს გაწევრებას, რადგან იცოდა, ამ ორგანიზაციის გაფართოება აუცილებლად შეეჯახებოდა რუსეთის ინტერესებს!

**1991-1992 წლებში პუტჩი განხორციელდა იმიტომ, რომ დღევანდელი, უბედურებებით დახუნძლული საქართველო გვეხილა!**



ზვიადმა დროულად განჭვრიტა ეს მდგომარეობა და 1991 წლის ნოემბერში, გაზეთ „გრუზია-სპექტრის“ მთავარ რედაქტორთან საუბრისას განაცხადა:

„რა თქმა უნდა, ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ცნობა უბრალოდ არ ხდება. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას... სამწუხაროდ, დასავლეთის ქვეყნები შეჰყურებენ მოსკოვს თუ როდის გვცნობს იგი... ამიტომ არ მივდივარ ვაშინგტონში. მე იქ ჩავალ მაშინ, როცა დავინახავ, რომ დასავლეთი დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს!

კორესპონდენტი: ჩვენი ოპოზიცია ამბობს, საქართველოს დასავლეთი არ ცნობს იმის გამო, რომ ჩვენში...

ზვიად გამსახურდია (აწყვეტინებს!) – საქართველოში დიქტატურააო, არა?

კორ.: – დიახ!“

ამის შემდგომ ცნობილია, როგორი შავი დღე გაუთენეს საქართველოს იქითურმაც და აქეთურმაც!

ყოველივეს კულმინაცია და სამხედრო პუტჩისთვის მიცემული სიგნალი, როგორც ზემოთაც ითქვა, აღმოჩნდა ავბედითი ლოზუნგი-მოწოდება: „ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო“ და რამდენიმე კვირაში, თბილისში, მთავრობის სახლთან ტყვია გავარდა!

დაიწყო კლასიკური, მსოფლიოში ჩინებულად ცნობილი სამხედრო გადატრიალება, რომელიც „ქართველთა სახალხო აჯანყებად“ გამოცხადდა!

და, თითქოს გულმა გაუგოო, ზვიად გამსახურდიამ, პუტჩის დაწყებამდე, მხოლოდ ერთი დღით ადრე, 1991 წლის 21 დეკემბერს, ასეთი რამ უთხრა რუსეთის ტელევიზიის ჟურნალისტს ურმას ოტსს (ინტერვიუ დაბეჭდილია გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ №249-250, 1991 წ. 21 დეკემბერს):

„– ბატონო პრეზიდენტო, ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს მშვენიერი საქართველო, რაღაც იზოლაციაშია, როგორც საბჭოთა კავშირის მხრივ და გასაკვირია, დასავლეთის მხრივაც...

ზვიადი: – ესაა გასაკვირი, დასავლეთი საბჭოთა კავშირს, რუსეთს რომ შეჰყურებს...

კორ: – თქვენ ეს წინასწარ იცოდით თუ სიურპრიზია თქვენთვის?

ზვიადი: მართალი გითხრათ, სიურპრიზია... არ მეგონა, რომ დასავლეთი ამდენად დამოკიდებულია აღმოსავლეთზე... არ მოველოდი ასეთ რამეს!

კორ: – თქვენ, საერთოდ, ცუდი დამოკიდებულება გაქვთ დასავლეთის ლიდერებთან?

ზვიადი: – დიახ! ეს მათი ბრალია, რადგან არ არიან დაინტერესებული იმპერიის დაშლით. ეს ხომ ცნობილია. ჩემი სახით ისინი ხედავენ კაცს, რომელიც იმპერიის დეზინტეგრაციის მომხრეა.“

*   *   *

**1992 წლის 6 იანვარს, საქართველოში დასრულდა სამხედრო გადატრიალება, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ცხვირწინ, რაც ჩაითვალა უზენაესი დემოკრატიული ფასეულობების და ქართველი ხალხის გამარჯვებად, შეიქმნა სამხედრო საბჭო, რომელმაც შემდგომ დანიშნა არაკანონიერი არჩევნები და 1992 წლის 7 მარტს დიდი აღტაცება-ზეიმით ჩამოყვანილი, ამავე სამხედრო გადატრიალების განმახორციელებელი – ედუარდ შევარდნაძე პრეზიდენტად იქნა არჩეული!**

აქ ვამბობ „განმხორციელებელს“ და არა დამკვეთს, რადგან შევარდნაძე მხოლოდ ჩანაფიქრის აღმასრულებელს წარმოადგენდა, ისევე, როგორც ყველა, ვინც მაშინ დამღუპველი ოპოზიციის მხარეს დადგა!

მერე და მერე, შევარდნაძის „ბოსებმა“ მას ურჩიეს, საპარლამენტო სპეცდადგენილებით, 1991-1992 წ. მომხდარ პუტჩისთვის ოფიციალურად ეწოდებინათ სამხედრო გადატრიალება, რაც, სხვათა შორის, შევარდნაძის შემცვლელმა სააკაშვილის პარლამენტმაც გაიმეორა.

**სადღეისოდ საქმე ასეა: დამტკიცებულია, რომ 1991-1992 წლებში საქართველოში განხორციელდა სამხედრო გადატრიალება, რის შედეგადაც დაამხეს კანონიერი ხელისუფლება და განდევნეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი, კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია!**

საინტერესოა, სამხედრო გადატრიალების დაწყებიდან თითქმის წლისთავზე, 1992 წლის 14 ნოემბერს გაზეთ „საქართველოს ცის ქვეშ“ გამოქვეყნებული ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან:

„კორ.: – ბატონო ზვიად, რით აიხსნება დასავლური დემოკრატიის ესოდენი გულგრილობა სახელმწიფოს კანონიერი ხელმძღვანელის მიმართ?

ზვიადი: – მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, დიდი ხანია, გაწუდგნენ დემოკრატიას. დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად (თითქოს დღევანდელ დღეზეა საუბარი, არადა, მას შემდეგ უკვე 30 წელიწადზე მეტია გასული! – **ჯ.დ.**), რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა მათ სურთ გააძლიერონ თავიანთი გავლენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უბრალოდ ამხობენ მას. ასეთ შემთხვევაში მათთვის არა აქვს მნიშვნელობა დამხობილი რეჟიმის ხასიათს: დემოკრატიულია იგი თუ ავტორიტარული! ეს მტაცებლური მიდგომა სხვა ქვეყნებისადმი საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს სახელმწიფოებში! აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები უკვე აღარც ცდილობენ, დაფარონ თავიანთი ზრახვები და აშკარად, ცინიკურად თრგუნავენ სხვა ხალხთა ნებას.

სწორედ ეს მოხდა საქართველოში 1991-1992 წლებში.

კორ.: – ბატონო პრეზიდენტო, რას წარმოადგენენ ეს მსოფლიო ძალები, ესოდენ თავისუფლად რომ ერევიან უცხო სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში?

ზვიადი: – კაცობრიობის მტრებს, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს, პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდაა დაკავშირებული შეერთებულ შტატებთან, ევროპასთან და მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისკენ! მე, ზოგადად, მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს

ვუწოდებდი! შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან აშშ სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით! ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისკენ საქართველოს ბანდიტურ დაჯგუფებებს... მათ ჩინებულად იცოდნენ, ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და პარტოკრატებისგან შედგებოდა! ამგვარი სცენარი კი არაერთგზის გამოუყენებიათ პლანეტის სხვა რეგიონებშიც!

კორ: – რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?

ზვიადი: – ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონია გამხდარიყო. დასავლეთს ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში სადაზვერვო სამმართველოს (ცრუ) აგენტის – ედუარდ შევარდნაძის მოსვლისა, მაგრამ დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ, კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა: სახელწიფოს სათავეში მოსულნი ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს. ჩვენი პოლიტიკის ამგვარი ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა ევროპული სახლის მშენებელ მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფალნი და არა ხალხები!) ებრძვის ყოველ ეროვნულ ხელისუფლებას! მათი მიზანია გაანადგურონ ერის ცნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი სათავეში მსოფლიო ხელისუფლებით, რომელმაც უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე.წ. მსოფლიო ახალი წესრიგი, რისი მთავარი არსია: განადგურება სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსულმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას!), გენოციდი მოუწყონ ამ ქვეყნის მოსახლეობას და საბოლოოდ დაიმორჩილონ პლანეტა.

**ისინი სხვა ქვეყნებს განიხილავენ მხოლოდ რესურსების თვალსაზრისით. მათი მიზანია, ეს ქვეყნები აქციონ ცარიელ ტერიტორიებად, სადაც მოსახლეობას დატოვებენ მხოლოდ მსოფლიო ელიტისთვის საჭირო რაოდენობით. ამასთან, სრულიად დემორალიზებულს, მზადმყოფს სხვათა ინტერესების სამსახურისთვის...**

ამ საშინელ ზრახვათა განხორციელებას მხოლოდ ხალხთა ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა შეიძლება აღუდგეს. ამიტომ ებრძვის დასავლეთი ეროვნულ მოძრაობებს. ამიტომ ცდილობს ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას და ომების პროვოცირებას. მაგალითად, იუგოსლავიაში მიმდინარე ომი მათი ნამოქმედარია, მიზანმიმართული სისხლისღვრაა, რომელშიც დაიფერფლება ეროვნული იდეის მატარებელი ხალხები. დღეს, დასავლეთს, იუგოსლავიის მოდელი გადმოაქვს კავკასიაში, სადაც ბალკანეთის მსგავსად, ხელოვნურად მწიფდება ეროვნებათაშორისი დაძაბულობა. აქ აფეთქებული ლოკალური კონფლიქტები დასავლეთს მისცემენ საბაბს პირდაპირი სამხედრო ჩარევისთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალთა სახით.

ასეთია არსი მსოფლიო ახალი წესრიგისა და დასავლეთის პოლიტიკისა, რაც მიმართულია მსოფლიოს ყველა ხალხის თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ...

**კორ: – რატომ ჰქმნიდით მაინცდამაინც ეროვნულ სახელმწიფოს? საერთოდ, რაში სჭირდება ადამიანს ეროვნება თქვენი თვალსაზრისით?**

ზვიადი: – სწორედ ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ჭეშმარიტ ადამიანად. ეროვნება არა აქვს ცხოველს! სარწმუნოება და ეროვნება ის ძირითადი თვისებებია, რომლებიც ადამიანს სხვა სულიერისგან განასხვავებენ და მისთვის ამ განსხვავების წართმევა უმძიმესი დანაშაულია ადამიანის წინაშე. ეს გახლავთ დასაწყისი მისი, როგორც პიროვნების დეგრადაციისა, დენაციონალიზაციისა, წინაპართა და წარსულის უარყოფაა, სრული მოკვეთაა ეროვნული ფესვებისგან! კაცი ადამიანურ არსს მხოლოდ თავისი ეროვნული კულტურის წიაღში ინარჩუნებს. ამიტომ, ადამიანის კულტურა განუყრელად არის დაკავშირებული მის ეროვნებასთან და მხოლოდ ეროვნული კულტურით ეზიარება მსოფლიო ცივილიზაციას!"

* * *

**დღეს მთელ მსოფლიოს მოსდეს ცნობა, რომ დემოკრატიისთვის და მსოფლიო მშვიდობისთვის ბრძოლაში უშველებელი დამსახურებისთვის მიხეილ სააკაშვილს დასავლეთის ერთ-ერთმა ქვეყანამ, ვგონებ ნორვეგიამ, ჯილდო გადასცა... არის მითქმა-მოთქმა და იმედი, რომ სააკაშვილი რუსეთის უპირველესი მტერია, ამიტომ იგი უნდა გათავისუფლდეს, რადგან პოლიტიკური პატიმარია!**

არადა, სწორედ ნორვეგიელმა ტერორისტმა ბრეივიკმა რამდენიმე წლის წინ 80-მდე ადამიანი შეიწირა. რა მოხდებოდა დღევანდელი დემოკრატიით მოფენილ მსოფლიოში ბრეივიკისთვის რუსთაველის პრემია რომ მიგვენიჭებინა?

არადა, აღარავის ახსოვს აღარც სააკაშვილის მიერ დარბეული ხალხი, ქუჩებში დახოცილები, ცოცხებით გაუპატიურებულები, ქონებაწართმეულები, ნაწამები ადამიანები!

ისმის კითხვა: არსებობდა თუ არა დასავლური დემოკრატია ოთხმოცდაათიან წლებში? და იგი, დემოკრატია ვითომ მხოლოდ 20-30 წლისაა?

**თუ კაცობრიობა ასე გააგრძელებს, ბნელეთის წარმომადგენლები მსოფლიო ქვეყნების სათავეებში შეგნებულად მოიყვანენ ფსიქიკურად დაავადებულ პიროვნებებს, რისი მაგალითებიც ისტორიამ კარგად იცის!..**

**ზვიად გამსახურდია**



ვინ დახუჭა თვალები 1991-1992 წლებში საქართველოში მომხდარ სამხედრო გადატრიალებისას?

ვინ მისცა მაშინდელ ოპოზიციას პრესა-ტელევიზია, ვინ წაათამამა სათანადოდ მომზადებული, სულგაყიდული, ანტიქართველი ექსპერტები, პოლიტოლოგები, ჟურნალისტები, მწერლები, მეცნიერები, ყაჩაღები? ვინ დააფინანსა! ვინ გაავრცელა ჭორი, რომ ქართველები აგრესორები ვიყავით და აფხაზეთ-სამაჩაბლოს გენოციდს ვუწყობდით?

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს რესპუბლიკას, მის პრეზიდენტს ზვიადს, სწორედ დემოკრატიის სახელით შემოუტიეს! მე დიდ ხანს ვეძებე სათანადო ტერმინი და იქამდე მივედი, რომ დემოკრატიული ინკვიზიციაც ხომ არ არსებობს-მეთქი!.. ვიფიქრე!

აშკარაა, რომ თუ მათ ჭკუაზე არ დადიხარ – დიქტატურაა, თუ მართლა დიქტატორი ხარ და მათ სურვილებს ასრულებ, – დემოკრატი ბრძანდები!

ვიღაც-ვიღაცებს ქართველები ბეცები ვგონივართ, თითქოს არც არაფერი გვინახვს და ვერც სათანადო ანალიზს ვაკეთებთ!

თითქოსდა არ ვხედავდეთ, როგორ მარჯვედ ხმარობენ ათასგვარ პრემიას, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ სპეციალურად დაგეშილი ე.წ. ოპოზიციონერის იმიჯის აწევა სურთ და საამისოდ, თვით ნობელის პრემიასაც კი იმეტებენ!

ასე და ამგვარად, მთელი ცხოვრება უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლს, ცნობილ დისიდენტს დააბრალებენ, რომ არის აგენტი, ნევრასტენიით შეპყრობილი, უზურპატორი, ნაცისტი, პროვინციელი ფაშისტი და თქვენ წარმოიდგინეთ, ბანდფორმირებების მეთაური!

და, როცა 1992 წელს ეროვნული ხელისუფლება სამხედრო გადატრიალების მეოხებით დაამხეს დემოკრატიული მსოფლიოს თვალწინ, თითი არავინ გაანძრია! ყველამ ხმა ჩაიკმინდა! დიახ, გაისუსა ე.წ დემოკრატიული დასავლეთიც, რომელმაც უკვე იცოდა – ზვიადი „დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა!"

რაღაც ორ კვირაში პუტჩი წარმატებით დააგვირგვინეს და საოცარია, რომ დეკემბერ-იანვრის იმ საშინელ დღეებში რამდენიმე სუპერსახელმწიფომაც კი გვაღიარა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, მაგრამ...

ერევანში თავშეფარებულ ზვიადს კვალდაკვალ გააყოლეს სამხედრო საბჭოს რჩეულ ინტელიგენტთა მარბიელი, რომელთა ვინაობა სამწუხაროდ ზუსტადაა ცნობილი...

ჯამში: კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს მოუწყვეს პუტჩი და ეს ბარბაროსობა, ვანდალიზმი მსოფლიოში გაფორმდა, ჯერ როგორც სახალხო აჯანყება, მერე კი – სამოქალაქო ომის სტატუსიც შეიძინა!

სამაგიეროდ, დღეს, სააკაშვილს იცავს მთელი მსოფლიო, დასავლეთის ე.წ დემოკრატიული ნაწილი, ხოლო ზვიად გამსახურდია, რომელმაც დამოუკიდებლობა აღგვიდგინა, ტერორისტადაა აღიარებული ბნელეთის მიერ, მაგრამ... ქართველი ერის ნებით მტრის ჯინაზე – განისვენებს მთაწმინდაზე!

დასკვნა კი ასეთია: 1991-1992 წლებში პუტჩი განხორციელდა იმიტომ, რომ დღევანდელი, უბედურებებით დახუნძლული საქართველო გვეხილა!

**მთავარია შინაგანი არეულობა, ქაოსი, ოღონდ – მართვადი!**

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ზვიადმა თავის „დილემაში" წინასწარ ზრახვით, ტაქტიკური მოსაზრებით არ შეიტანა ყველაფერი, რასაც იმ დროს ფიქრობდა და მე კი გამიმხილა!

ერთ-ერთი იყო შემდეგი:

„თუ კაცობრიობა ასე გააგრძელებს, ბნელეთის წარმომადგენლები მსოფლიო ქვეყნების სათავეებში შეგნებულად მოიყვანენ ფსიქიკურად დაავადებულ პიროვნებებს, რისი მაგალითებიც ისტორიამ კარგად იცის".

და ბოლოს: დღეს მრავალი და მავანი, რომლებიც შინაგანად მხარს უჭერდნენ ეროვნული ხელისუფლების დამხობას და რესპუბლიკის პრეზიდენტის განდევნას, უკვე მიმხვდარნი, რომ 1991-1992 წლებიდან საქართველო პერმანენტული არეულობის არენად აქციეს, ოდნავ ნირწამხდარნი ამბობენ: კი, ზვიადი ნამდვილად იყო სამშობლოს მოყვარული, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული, მაგრამ... პოლიტიკოსობა უჭირდაო...

ამ მეგობრებს მინდა შევახსენო: „დილემა კაცობრიობის წინაშე" მუდამდღე მწვავდება და თუ ზვიად გამსახურდიას მსგავსი პიროვნებები არ მოვლენ სახელმწიფოთა მეთაურებად, ამ გაჭირვებულ მსოფლიოს აღარაფერი ეშველება!

ასე რომ, ზვიად გამსახურდია გახლდათ იმ თანამედროვე პოლიტიკოსთაგანი, ვინც პასუხი გასცა კაცობრიობის წინაშე დასმულ დილემას – სიკეთეს ვემსახუროთ თუ სიბოროტეს!

**ზვიად გამსახურდია მსოფლიოს მომავალი, გადამრჩენი პოლიტიკის ერთ-ერთი გამოჩენილი მესაძირკვლეა და თუ მისდარი ადამიანების ხელში არ მოექცევა სახელმწიფოთა სადავეები, კაცობრიობის მტრების მიერ თვალებზე აფარებული სათვალეებით დაბრმავებულნი – შემცდარი ადამიანები, აღმაფრენა-სიხარულით, ქრონიკული მიტინგმანიფესტაციებით გაემართებიან დაგმანული ცისა და უფსკრულის ანგელოზის წყვდიადისკენ!**

**საბოლოოდ, უფალი „განრისხდება", მიგვიშვებს ნებაზე, რაც უთუოდ კაცობრიობის თვითლიკვიდაციით დასრულდება!**

**სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ნათლადაა ნაწინასწარმეტყველევი იოანეს გამოცხადებაში!..**

# ვაის და ვუის ბოლომდე გავეყაროთ!

(მეოთხე გვერდიდან)

**ხალხი კარგად ხედავს, რომ ბოლო დროს ოკეანის გაღმიდან თუ გამოღმიდან სურთ საქართველოს მართვა. ქართველები არ დაუშვებენ, რომ მათ მიერ, თუნდაც ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლება ვიღაცის ნება-სურვილზე ჯერ დადიოდეს და თუ არ გაივლის, ასე, ხელის აქნევით გადააგდონ. ხალხი ბრძენია და კარგად ხვდება, რა დანის პირზე და როგორ გვიწევს სიარული; ხელისუფლებას რა სახის ზეწოლის წინაშე უწევს გამკლავება; უკრაინის ომის პარალელურად, როგორ ხდება მასზე ყველა მხრიდან ზეწოლა და ყველაფრის მიუხედავად, ერთხელაც კი ქვეყნის ბედი არ დაუყენებიათ რისკის ქვეშ. ხალხი ამ სიმშვიდეს აფასებს, რომელიც ჩვენი ხელისუფლების დამსახურებაა, ამიტომ ეს იყო „ქართული ოცნების" მხარდამჭერი აქცია, სადაც ხალხმა კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება და უთხრა, რომ სწორად იქცევა",** – ამბობს ედიშერ გვენეტაძე.

მისივე თქმით, საუბარი, რომ მესამე ძალა გამოჩნდება და რაღაც სასწაული მოხდება, ტყუილია. ხალხი შესაძლოა, ხელისუფლებით კმაყოფილი არ იყოს, მაგრამ ოპოზიციამ სახიდან ნიღაბი ისე საბოლოოდ ჩამოიხსნა, რომ მაგათი სახელის ხსენებაც კი არავის უნდა. ის ფიქრობს, რომ „ნაციონალების" ბოლო დღეები უკვე დათვლილია, რომელიც 2024 წლის არჩევნებზე დაგვირგვინდება და ერთხელ და სამუდამოდ, ქართველ ხალხს მოშორდება.

„ხალხის ძალის" წევრი და ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** ხაზგასმით ამბობს, რომ ამ აქციაზე რადიკალურ და აგრესიულ ჯგუფებს ხალხმა გაუგზავნა გზავნილი, რომ უმრავლესობას თავისი აზრი თავზე არ უნდა მოახვიონ. ქართველიშვილი ამბობს, რომ „ხალხის ძალის" 7-თვიანმა მოღვაწეობამ თამაშის ახალი წესები დააწესა და ეს აგებულია საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ პატივისცემაზე, რაც ქართველმა ხალხმა დაინახა და აქციაზე სწორედ ამ ენთუზიაზმით იყო მისული.

**„ხალხმა დაინახა, რომ ერთ იმპერიალისტურ დამოკიდებულებას უარს ეუბნები და აგერ, მეორე იგივეს გთხოვს. ანუ, ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთ? ამისთვის სიცოცხლეს წირავ, ტერიტორიებს, დიდ ზარალს იღებ და 32 წლის შემდეგ გამოდის, ისევ იგივე სცენარში გვთხოვენ თავის გაყოფას? რატომ? რისთვის? ხალხმა კითხვა დაიწყო და ძალიან კარგად გაიაზრა რაზეა საუბარი. 30 აპრილის აქცია პასუხი იყო იმაზე, რომ „ხალხის ძალა", ორგანიზატორები, საზოგადოება მზად არის იმისთვის, რომ თავისი დე ფაქტო და დე იურე დამოუკიდებლობა, ერთად აღებული, ერთად დაიცვას იმ ტრადიციებით, რაზეც მთელი ჩვენი ისტორიაა აგებული, როცა სახელმწიფოებრიობას ვიცავდით.**

**არაერთ იმპერიას ჭიაკოკონასავით გადავახტით, ჩვენი ღირებულებები, შეხედულებები, იდენტობა არასდროს დაგვიკარგავს. აქამდე მოვედით და არც ახლა არავის მივცემთ იმის უფლებას, გვიკარნახოს, როგორ ვიცხოვროთ, ჩვენი ქვეყნისთვის და ხალხისთვის რა არის უკეთესი – ამას თავად ქართველი ხალხი წყვეტს. ჩვენ გვსურს, ვიყოთ ძალიან კარგი პარტნიორი ჩვენი მეკავშირეებისთვის, რომლებმაც თანასწორად უნდა აღგვიქვან და ისე გვეთანამშრომლონ",** – ამბობს ქართველიშვილი.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ამერიკის საელჩო სულ დაბრმავებულა!



აშშ-ის საელჩო პატივს სცემს საქართველოში პრესის წევრებს, რომლებიც მუშაობენ საზოგადოების ინფორმირებისა და ინსტიტუციების ანგარიშვალდებულებისთვის, მიუხედავად მათზე ძალადობის, ძალადობის მუქარის, პოლიტიკურად მოტივირებული დევნის, პატიმრობისა თუ სხვა ზეწოლისა...

**„პრესის თავისუფლების მსოფლიო დღეს აღვნიშნავთ ჟურნალისტების აუცილებელ როლს დემოკრატიაში. ჟურნალისტები საზოგადოების ინფორმირებისა და ინსტიტუციების, აგრეთვე და ხელისუფლებაში მყოფი პირების ანგარიშვალდებულების სადარაჯოზე დგანან. თავისუფალი და ძლიერი პრესა აუცილებელია „ხალხის მიერ ხალხისათვის მმართველობის“ უზრუნველსაყოფად. შეერთებული შტატების საელჩო პატივს სცემს საქართველოში პრესის წევრებს, რომლებიც მუშაობენ საზოგადოების ინფორმირებისა და ინსტიტუციების ანგარიშვალდებულებისთვის, მიუხედავად მათზე ძალადობის, ძალადობის მუქარის, პოლიტიკურად მოტივირებული დევნის, პატიმრობისა თუ სხვა ზეწოლისა. მედიისთვის ზიანის მიყენების ან გაჩუმების ნებისმიერი მცდელობა არის თავდასხმა თვად დემოკრატიაზე“**, – ნათქვამია საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

* * *

მოვალეოგის მოხდის მიზნით გაკეთეგულ ამ განცხადეგას კომენტარიც არ სჭირდეგა. ამერიკის საელჩო და ელჩი დეგნანი სულ დაგრმავდნენ – ქართულ პრესას დევნიან, ემუქრეგიან, აპატიმრეგენ, თავს ესხმიანო!

ისემც ცხვირი დაგიმშვენდეთ ძვირფასო ამერიკელეგო, სულ მაგ სიმართლით იარეთ!..

## მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსში, საქართველო 12 საფეხურით დაწინაურდა!




**2023 წლის „მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით, საქართველო 180 ქვეყანას შორის 61,69 ქულით 77-ე ადგილზეა. მონაცემებს ყოველწლიურად არასამთავრობო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ აქვეყნებს.**

**2022 წლის ამავე ინდექსში საქართველო 89-ე პოზიციაზე იყო და 59,3 ქულა ჰქონდა. საქართველოში არსებული სიტუაციის მოკლე მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ მედიალანდშაფტი საქართველოში მრავალფეროვანია, თუმცა ამავე დროს ძალზედ პოლარიზებული.**

# ბუზი, მინისტრი და პრესის თავისუფლება

(მეხუთე გვერდიდან)

როგორც დადგენილია, მთელს მსოფლიოში ყველაზე ნახვადი პორნოგრაფიული საიტებია.

მდაბიო ჟურნალისტების ეს სულიერი მამები ცდილობენ ნამდვილი მედია, ნამდვილი ჟურნალისტიკა და ნამდვილი ჟურნალისტური გამოძიება სწორედაც რომ ისეთ ამაზრზენ ცრუ სიშიშვლედ წარმოაჩინონ, როგორც პორნოგრაფიაა.

მათ ამ „ჩალიჩზე“ გამახსენდა ფრაგმენტი შესანიშნავი ინგლისური ფილმიდან „რეალური სიყვარული“, სადაც ნაჩვენებია თუ როგორ იღებენ პორნოგრაფიულ სცენებს. სცენებს, სადაც აბსოლუტურად ყველაფერი ბუტაფორიაა და რეალობასთან არანაირი კავშირი არა აქვს.

ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებში მედიის როლის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მედიის საკუთრების კონცენტრაცია იწვევს დემოკრატიული პროცესების მნიშვნელოვან დამახინჯებას. „მასმედიის პოლიტიკური ეკონომიკაში“ **ედვარდ ს. ჰერმანი** და **ნოამ ჩომსკი** თავიანთი პროპაგანდის მოდელის მიხედვით ამტკიცებენ, რომ კორპორატიული მედია ზღუდავს სადავო მოსაზრებების ხელმისაწვდომობას რაც ამტკიცებს, რომ იქმნება ელიტური მოსაზრებების ვიწრო სპექტრი. მათი აზრით, ეს არის მძლავრ კორპორაციებსა და მედიას შორის მჭიდრო კავშირის ბუნებრივი შედეგი.

მედიაჟურნალისტები ასევე აღნიშნავენ, რომ ადრეული მედიაინდუსტრიის გავლენიანი მებრძოლები გამოირჩეოდნენ ძირითადად ანტიდემოკრატიული შეხედულებებით და პოლიტიკაში მოსახლეობის ჩართულობას ეწინააღმდეგებოდნენ. ვოლტერ ლიპმანის მიერ დაწერილი „მოჩვენებითი საზოგადოების“ (1925 წელი) მიზანი იყო „საზოგადოებისთვის საკუთარი ადგილის მიჩენა“. ხოლო ედვარდ ბერნასი, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის დაწყებას ცდილობდა, მიიჩნევდა რომ „ხალხის სამართავად საჭიროა მათი მართვა ისე, როგორც ჯარისკაცის გონების და სხეულის“.

მსგავსი არგუმენტების მხარდამჭერები ამბობენ, რომ კონსტიტუციურად დაცული სიტყვის თავისუფლება საშუალებას აძლევს როგორც კომერციულ, ისე არაკომერციულ ორგანიზაციებს განიხილონ სხვადასხვა საკითხები. მათი აზრით, დემოკრატიულ ქვეყნებში მედიის გაშუქება უბრალოდ ასახავს საზოგადოების უპირატესობას და არ საჭიროებს ცენზურას. განსაკუთრებით მედიის ახალი ფორმებით, როგორიცაა ინტერნეტი, რომელიც არ არის ძვირი ფართო აუდიტორიისთვის.

პრესის მიმართ მსგავსმა მარაზმატულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რომ ევროპარლამენტში დაგეგმილია „ნამუშევრების“ გამოფენა, რომლებზეც იესო ქრისტე LGBTQ ადამიანებთან ერთადაა გამოსახული.

გამოფენა სახელწოდებით „სექსუალური გეი იესო“ შვედი ევროპარლამენტარის ინიციატივით ტარდება **(იხ მე-12 გვერდი)**.

სწორედ მსგავსი ნაძირალობისგან ჩვენი ქვეყნის დაცვის გამო შეიკრიბა უამრავი ადამიანი რესპუბლიკის მოედანზე და უარი უთხრა „გამოხატვის თავისუფლების“ მანტიაში გახვეულ ავთარს, რომელიც ყველაფერ ჯანსაღს წალეკვით ემუქრება.

30 აპრილის შეკრების ერთ-ერთ მოწინააღმდეგეს, რომელმაც იქ მისული ხალხი ვაგზლის მოედანს შეადარა, მინდა ვუთხრა, რომ შეიძლება ის შეკრება ხალხმრავლობით და საზოგადოების მრავალფეროვნებით ვაგზლის მოედანს შეადარო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ „ვაგზლის ბოზები“ ნამდვილად არ ყოფილან.

წერილს კი ერთი მნიშვნელოვანი ფრაზით დავამთავრებ – ბუზი და მინისტრი ერთმანეთს იმით ჰგვანან, რომ ერთი გაზეთით შეგიძლია ორივე მოიშორო.

**გია გაბრიჭიძე**

# „წარჩინებული ოროსნები“

**გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: განა ბევრია ჩვენში ისეთი, ვისაც სკოლაში სწავლისას ორიანი არ მიუღია?! დარწმუნებული ვარ, რომ ასეთებიც არიან, თუმცა უმრავლესობას ამის გამო მშობლებისგან სავსებით დამსახურებული საყვედურიც მიგვიღია, მრავალსაც „ქამრის გემოც“ აქვს „გასინჯული“... არადა, ისტორიისთვის უამრავი შემთხვევაა ცნობილი, როცა ადამიანებს არა თუ წარმატებისთვის მიუღწევიათ სწორედ იმ დარგებში, რომელთა შესწავლაში სკოლაში აშკარად „მოიკოჭლებდნენ“, არამედ ამ ასპარეზზე დიდებაც კი მოუპოვებიათ.**



**დღესდღეობით, როცა ამდენს ვლაპარაკობთ ეგრეთ წოდებულ „ინდიგო თაობაზე“, ანუ უკვე 2000 წლის შემდგომ ხანებში დაბადებულ, განსხვავებული ნიჭისა და ლამის დედის მუცლიდან დაყოლილი სრულიად გამაოგნებელი უნარების ბავშვებზე, ნამდვილად არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული ზოგიერთი ცნობილი ხელოვანისა თუ მეცნიერის ამბის გახსენება, ვინც მოწაფეობაში არა თუ რაიმე განსაკუთრებული მიღწევებით ვერ დაიტრაბახებდა, სულაც „ყოვლად უვარგის მოსწავლედაც“ კი ითვლებოდა.**



ამ მხრივ ყველაზე კურიოზულად, ალბათ, სახელგანთქმული მეცნიერის **ისააკ ნიუტონის** ამბავი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც სკოლაში სწავლის დროს გამუდმებით არადამაკმაყოფილებელ შეფასებებს იღებდა... ფიზიკასა და მათემატიკაში(!!!). თუმცა ყველაფერი ერთმა შემთხვევამ შეცვალა: ერთხელ ნიუტონს ხელჩართული ჩხუბი მოუვიდა თანატოლთან, რომელმაც „უსაშველოდ გონებაჩლუნგი“ უწოდა, რის შემდეგ პატარა ნიუტონმა საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ კლასში საუკეთესო მოსწავლე გახდებოდა.

* * *




ქიმიური ელემენტების ტაბულის შემქმნელთათვის საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერის **დიმიტრი მენდელეევისთვის** კი, რომელიც ახალგაზრდობაში საექიმო კარიერაზე ოცნებობდა, სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში ჩასაბარებლად, თითქმის დაუძლეველ წინააღმდეგობად... ქიმია იქცა, რომლის გადალახვა მან მეოთხე ჯერზეღა შეძლო!

* * *




მსოფლიოში პირველი ელექტროსადგურისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში უდიდესი ენერგოგენერაციული კომპანიის „ჯენერალ ელექტრიკის შემქნელი **თომას ა. ედისონი** კი, როგორც სწავლისთვის სრულიად გამოუსადეგარი მოსწავლე, სულაც... სკოლიდან გარიცხეს. განათლების მიღებას მომავალი მილიონერი თავის დედას უნდა უმადლოდეს, რომელიც მას სახლში ამეცადინებდა.

* * *



ასევე ჰარვარდის უნივერსიტეტიდან კინწისკვრით გამოაგდეს... **ბილ გეიტსი,** რის პასუხად ამბიციურმა ახალგაზრდამ კომპანია „მაიკროსოფტი“ დააარსა და დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კაცი გახდა.

* * *



აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აკადემიური დავალიანების გამოუსწორებლობა, არაერთი კომპიუტერული გენიისთვის სასწავლებლიდან დათხოვნის მიზეზი გახდა: 18 წლის ასაკში უმაღლესიდან გარიცხული საქვეყნოდ ცნობილი კომპანიების „პიქსარისა“ და „ეფლის“ დამაარსებელი **სტივ ჯობსი** სულაც უმაღლესი განათლების გარეშე დარჩა.

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძემ.**

# პუტინი და ლუკაშენკო ჩარლზ III-ის კორონაციაზე არ მიიწვიეს

რუსეთის, ბელარუსის, ირანის, მიანმარის, სირიის, ავღანეთისა და ვენესუელას ლიდერებისთვის დიდი ბრიტანეთს მეფე ჩარლზ III-ის კორონაციის ცერემონიალისთვის მოსაწვევები არ გაუგზავნია.

**„მოიწვიეს სახელმწიფოს მეთაურები სხვა ქვეყნებიდან, რომლებთანაც დიდ ბრიტანეთს აქვს სრული დიპლომატიური ურთიერთობა“**, – წერს Reuters წყაროზე დაყრდნობით.



ასევე ცნობილია, რომ ცერემონიაზე მოსაწვევები გაეგზავნა მაღალი რანგის დიპლომატებს რომელთა შორის არ არიან ჩრდილოეთ კორეისა და ნიკარაგუის ხელმძღვანელებს. ჩარლზ III-ის კორონაციის ცერემონია ვესტმინსტერის სააბატოში შაბათს, 6 მაისს გაიმართება. ჟურნალისტების თქმით, ცერემონია დაახლოებით 250 მილიონი ფუნტი დაჯდება. გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრინცი ჰარი კორონაციის ცერემონიალისთვის არ ჩავა.

# თუ დაკარგე მადლი, კარგავ ყველაფერს!

## როგორ იქმნებოდა ბიბლიის აუდიოვერსია

**14 წლის წინათ, 2009 წლის პირველ მაისს საქართველოს საპატრიარქოში ბიბლიის აუდიოვერსიის კურთხევა გაიმართა.**

**ამ დღიდან ბიბლიის სრული აუდიოვერსია ქართველი ერის სულიერი საუნჯის სამაგილითო მონაპოვარი გახდა. ვფიქრობთ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებს ძალიან დააინტერესებთ ამ უმნიშვნელოვანესი პროექტის ხორცშესხმის ისტორია.**



შესანიშნავმა მსახიობმა, პუბლიცისტმა, მწერალმა და მხატვრული კითხვის დიდ ოსტატმა გოგი ხარაბაძემ საუკუნის დასაწყისში გამორჩეულობით მომადლებული აუდიოჩანაწერების შექმნა განიზრახა. 2006 წელს კი უკვე თავისი შრომის ნაყოფი საზოგადოებას წარუდგინა. ეს იყო 29 ფირფიტაზე ჩაწერილი სახარების ანუ წმიდა ოთხთავის, ქართული და მსოფლიო პოეზიის შედევრების, „ვეფხისტყაოსნის", აკაკის, ვაჟას პოეტური ქმნილებების გახმოვანებული ტექსტები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მოიწონა გოგი ხარაბაძისა და მისი თანამოსაგრეების მიერ შესრულებული ეს სიახლე და დალოცა პროექტის მონაწილენი.

იქნებ სწორედ მაშინ გადაწყვიტა ბატონმა გოგიმ თავისი წადილის და დიდი ხნის ნაფიქრის ასრულება.

* * *

**გოგი ხარაბაძე:** ბიბლიის აუდიოვერსიის შექმნა რომ გადავწყვიტე, უწმიდესის კურთხევის მომლოდინე, სამების ტაძრის საკურთხეველში, მის შორიახლოს მორიდებით ავიტუზე, პატრიარქმა მიმიხმო, მის წინ მუხლებზე დავდექი და ვუთხარი, რომ ბიბლიის აუდიოვერსიის ჩაწერას ვაპირებდი. ძალიან დიდხანს მიყურა, ჩვენი თავები ახლოს იყო ერთმანეთთან, ბოლოს პატრიარქმა მითხრა: „მიიღეთ ჩემი ლოცვა-კურთხევა, ღმერთმა შეგაძლებინოთ!" პირჯვარი გარდამსახა, თავზე ხელი მომხვია და მკერდთან მიმიხუტა. ეს ისეთი ნეტარების წუთები იყო, რომ მინდოდა, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო.

აი, ასე დაიწყო.

სამი წლის განმავლობაში ტექსტს ყოველ შაბათ დღეს, დილით ვწერდი, სანამ ძალ-ღონე მყოფნიდა, ვკითხულობდი, საღამოობით კი პატრიარქთან ლოცვაზე მივდიოდი. უწმიდესი ყოველთვის მეკითხებოდა, როგორ მიმდინარეობდა მუშაობა. ერთხელ დაინტერესდა, ჩაწერამდე რამდენჯერ ვკითხულობ ამა თუ იმ მონაკვეთს. 50, 60, 100-ჯერ-მეთქი. პატრიარქს ესიამოვნა..."

ეს გრძელდებოდა ორ წელზე მეტხანს და ერთხელაც გოგი ხარაბაძე სულ სხვა განწყობით ეახლა პატრიარქს...

და სანამ მკითხველს ამის თაობაზე ვუამბობ, ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ ის შემოქმედნი, რომელთაც ამ პროექტის ხერხემალთან, იდეის ავტორსა და შემსრულებელთან – ბატონ გოგისთან ერთად შეძლეს ეს საშვილიშვილო საქმე.

საქართველოს ტელევიზიაში წმინდა ოთხთავის ტელევერსიის შემდეგ, **მერაბ სანოძის,** სტუდიაში ჩაწერილ „ახალ ქართულ პროექტზე" გოგი ხარაბაძეს მხარში ედგნენ პროდიუსერები **თამარ ცაგარეიშვილი, გოგი ხარაბაძე**-უმცროსი და მხატვარი **კოტე ჯაფარიძე**. სწორედ მათ იტვირთეს ბიბლიის აუდიოვერსიის ხორცშესხმა. მათთან იყო შესანიშნავი კომპოზიტორი და მრავალი სიახლის თაოსანი **ნოდარ მამისაშვილი.**

პროექტის განხორციელებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ. მან თამარ ცაგარეიშვილსა და გოგი ხარაბაძეს ცნობილი თეოლოგი გიორგი გვასალია კონსულტანტად გაუმწესა, რომელიც ამ პროცესისადმი გამორჩეულ ყურადღებას იჩენდა.

როგორ ესხმებოდა ხორცი ხარაბაძის იდეას?

**პროდიუსერი თამარ ცაგარეიშვილი:** გოგიმ ადამიდან ქრისტეს აღდგომამდე, ყველა წინასწარმეტყველი და გმირი გააცოცხლა. ჩემთვის ეს დიდი პერფორმანსი იყო, მისი ჩაწერა – ჯადოსნური რამ. შაბათს სანოს სტუდიაში 12 საათზე შედიოდა და ჩაწერა გაუჩერებლად ორი-სამი საათი გრძელდებოდა. შედიოდა თანამედროვე ადამიანი და ჩაწერის დროს მისტიფიკაცია ხდებოდა: უცებ ძველ აღთქმაში ხვდებოდი...

ჭაბუა ამირეჯიბმა ამ პროექტს ხმა მომავალში უწოდა. ისეთი სიღრმის ტექსტი და სათქმელია ამეტყველებული, რომ ყველა დროს გაუძლებს. ასე მგონია, ამის მომრევი ნაკლებად გამოჩნდება. ეს არ არის მსახიობის ჩაწერილი, ეს ღვაწლია. მისი ენერგეტიკის, შემართების, ჟინის და ნიჭის ღვაწლი...

„მარტო კაცი, ღვთის ჩაურევლად თავს ვერ დაადგამდა ამ საქმეს. უწმიდესის ლოცვა-კურთხევამ გამაბედვინა პირველი ნაბიჯის გადადგმა, მანვე დამამშვიდა და გამამხნევა მუშაობის პროცესში," - ასე იწყებს პროექტთან დაკავშირებულ ყველა საუბარს ბატონი გოგი და ეს, მართლაც, ასეა, როგორც საქართველოში დაწყებული და განხორციელებული ყველა ღვთისნიერი საქმის შემწე და მფარველმა, ამჯერადაც პატრიარქმა იტვირთა ბიბლიის აუდიოვერსიის შექმნის მეურვეობა.

მერწმუნეთ, ყოველი წინადადება განხილვის, მსჯელობის საგანი იყო და ისევ ბატონი გოგის სიტყვებს მოვიშველიებ: „ყოველ სტრიქონზე ოფლის გარდა, სისხლი იღვრებოდა".

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი, რა მოცულობის სამუშაოზეა საუბარი: უნდა ჩაწერილიყო მთელი ბიბლია, შესაქმიდან – აპოკალიფსის ჩათვლით. ჯერ წარმოვიდგინოთ დროის რა უზარმაზარი პერიოდია: სამყაროს წარმოშობიდან ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნემდე.

შემდეგ, სახეების გალერეას გადავხედოთ: ადამიდან – მაცხოვრამდე.

ამასთან, ყველა ეპოქა, ყველა სახე ინდივიდუალურ მიდგომას, გახსნას საჭიროებდა".

**მერაბ სანოძე:** – როცა გოგი წერს, მისი ყურება და სმენა ერთი სიამოვნებაა, ცალკე სპექტაკლია. უნდა გენახათ, თეთრ პერანგში, თეთრი წვერით, თეთრი თმით... ჩაწერის დროს ნელ-ნელა შედიოდა ემოციებში და ბოლოს ირეოდა, ყალყზე დგებოდა ეს თმაც, პერანგიც და მთლიანად ეს კაციც. რომ ვუცქეროდი, ვეღარ ვუძლებდი და გარეთ გამოვდიოდი... არანორმალურად დიდი ენერგიის პატრონია.

**კომპოზიტორმა ნოდარ მამისაშვილმა** (სამწუხაროდ გარდაცვლილია), ბიბლიის აუდიოვერსიაზე მუშაობის პროცესს მიუძღვნა გაზეთ „კლიტე დავითისის" 2008 წლის თებერვლისა და მარტის ნომრებში დაბეჭდილი წერილები.

ამჟამად მკითხველებს გავაცნობთ ბატონი ნოდარის მყუდრო ბინაში მაშინ ჩაწერილი ტექსტის ამონარიდებს: – „ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვიცხოვრე იმისთვის, რომ ბიბლიისთვის მუსიკა შემექმნა. ბიბლია არ არის მხოლოდ მარადიული წიგნი და წიგნთა წიგნი, მასში თვითონ არის სიტყვის მუსიკა და სიტყვის მუსიკას რომ კიდევ მუსიკა დაუწერო, ეს, ცოტა არ იყოს, რთულია. ჩემი სამუშაო, ძირითადად, ავაგე მოგზაურობაზე დროში. თუ დროში არ იმოგზაურე, გაგიძნელდება ამ მარადიულ წიგნს მუსიკა მიუსადაგო. ასევე უნდა გაითავისო ძველი ეგვიპტის, ძველი ებრაული, სირიული, ბიზანტიური, მათ შორის, ქართული კულტურაც. ძველ ქართულ საგალობლებთან ერთად ჩემი მნიშვნელოვანი საყრდენი პატრიარქის საგალობლები იყო. მარადისობა მრავალ ეპოქას, მრავალი ხალხის კულტურას მოიცავს. წმინდა მამების გენიალობაც სწორედ ის არის, რომ გარდა ამ სულიერი სიწმინდისა, ისინი ისეთ ფორმულებს ქმნიდნენ, რომლებიც ყველა ერის წარმომადგენელს აძლევდა საშუალებას, მაღალი სულიერების მუსიკა გაეთავისებინა. საგანგებოდ აღვნიშნავ – გოგი ხარაბაძის მიერ წაკითხული ტექსტიც კი მუსიკასავით ჟღერს.

შემთხვევითი არ იყო პროექტში მხატვარ **კოტე ჯაფარიძის** მონაწილეობაც.

მას უშუალო და შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს გოგი ხარაბაძესთან და მის მიერ შექმნილი მხატვრული ფონი მთლიანად ესადაგება პროექტის ჩანაფიქრს.

...და თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა. პატრიარქთან გოგი ხარაბაძის სტუმრობა...

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი, ერთ დღეს კი... აპოკალიფსამდე მისული.

თვითონ **გოგი ხარაბაძეს** მოვუსმინოთ:

„– როგორც ზვავი ისე ჩამოწვა „აპოკალიფსი". ჰო, ქვეშ მომიყოლა. საიდან არ მივუდექი. ძვრა ვერ ვუყავი.

კონსულტანტები ჰყავს ბიბლიის აუდიოვერსიას, განსწავლული, ღრმა, მცოდნე ხალხი. იმათ მივაკითხე. დამამშვიდეს, არ შეშინდეთ, ბატონო გოგი, „გამოცხადება" ყველაზე ამოუცნობი, მიუწვდომელი მასალააო.

საბოლოო განაჩენს მაინც უწმიდესისგან ველოდი. მისი დასტური მჭირდებოდა.

უცხოსავით ვიჯექი ოთახში, სადაც ხშირად მმასპინძლობს. ვღელავდი? უფრო მეტი... ბავშვივით მიფანცქალებდა გული. არ ვიცოდი, რითი დამეწყო, ყელში მებჯინებოდა სათქმელი, თან თითქოს სიტყვები დამკარგვოდა და ჯიქურ გამომივიდა:

– უწმიდესო, „აპოკალიფსისის" ჩაწერას არ ვაპირებ.

– რათა? - მკითხა ჩვეული სიმშვიდით.

– ასჯერ მაინც წავიკითხე... მე არაფერი მესმის და სხვას რას გავაგებინებ...

– მამაო დავით, მოიტანეთ „ბიბლია".

იქვე ჩამოვსხედით, სავარძლებზე.

– დაიწყეთ! – იყო ბრძანება.

როგორია?! აბა, დაუჯექით პირისპირ საქართველოს პატრიარქს, თანაც ასეთს და წაუკითხეთ „ბიბლია".

„ხომ იცით, „აპოკალიფსი" – გამოცხადებას ნიშნავს. ღმერთი თავის რჩეულ შვილებს უცხადებს საიდუმლოს, რომელიც მომავალს ეხება, ახლა დაიწყეთ... – კიდევ გამიმეორა.

დავიწყე. ვკითხულობდი, მაჩერებდა, მიხსნიდა, შეფარვით მამხნევებდა კიდეც... „აი, ხომ ხედავთ, უკვე სხვანაირად კითხულობთ... განაგრძეთ"...

ფილადელფიის ეკლესიის ანგელოსს რომ მივადექით, პირჯვარი გადაიწერა და მითხრა:

– ეს საქართველოზეა, ხომ იცით? სამების ტაძარში საკურთხევლის კარზე, შიგნიდან არის ამოტვიფრული ეს მონაკვეთი... განაგრძეთ...

სული მეკუმშებოდა, ალბათ, ნეტარებისგან. ვფიქრობდი, სულ ნურაფერი გამოვა, პარტიარქს „ბიბლიას" ხომ ვუკითხავ-მეთქი.

წინადადება-წინადადება ამიხსნა ყოველი თავი, შუაღამე გადასული იყო, რომ დავტოვე, ყურებში მისი ხმა ჩამესმოდა:

„ღმერთი თავის რჩეულ შვილებს უცხადებს საიდუმლოს, რომელიც ძირითადად მომავალს ეხება..."

და გასრულდა სამწლიანი შრომა და ღვწა. 2009 წლის პირველ მაისს კი საქართველოს საპატრიარქოში 51 დისკზე ჩაწერილი „ბიბლიის" აუდიოვერსიის პრეზენტაცია გაიმართა.

**პატრიარქმა მაშინ ბრძანა:**

**„დღეს ისტორიული დღეა ჩვენს ცხოვრებაში, საქართველოსა და ეკლესიის ცხოვრებაში, – ხალხთან ბიბლიის ამ სახით მიტანა საუკუნეების მანძილზე ოცნება იყო...**

**იმას, რისი მოწმენიც ვართ, შემიძლია მოვლენა დავარქვა. ადამიანი ან მოიპოვებს, ან კარგავს მადლს. ბედნიერია, ვინც მოიპოვებს და საცოდავია, ვინც კარგავს. მახსენდება ერთი მოხუცის სიტყვები: შენ შეიძლება დაკარგო ჯანმრთელობა, მაგრამ ცოცხალი დარჩე. შენ შეიძლება დაკარგო სიმდიდრე, მაშინ არაფერი დაგიკარგავს, მაგრამ თუ დაკარგე მადლი, მაშინ ყველაფერი დაკარგე. აი, ამ შრომაში არის მადლის მოპოვება – მადლის გავრცობა, მადლის მოფენა..."**

პროტოპრესვიტერმა **გიორგი ზვიადაძემ,** რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა აუდიოვერსიის განხორციელებაში, ასე შეაფასა საუკუნის პროექტის მნიშვნელობა:

„ბიბლია" არის ღვთის სიტყვა. ეკლესია და ყველა სასულიერო პირი უაღრესად მადლიერები ვართ იმ უზარმაზარი შრომისა და ძალისხმევისათვის, რაც ბატონმა გოგიმ ამ პროექტში ჩადო. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ურთიერთობამ და სიახლოვემ მისცა მას უზარმაზარი ძალისხმევა, რომ მას ეს მნიშვნელოვანი, მართლაც, საუკუნის პროექტი განეხორციელებინა. მისი მიზანია, ყველა ადამიანს მიეცეს საშუალება, ღვთის სიტყვა მოისმინოს. საქართველოს მოსახლეობა მისი დახმარებით გზას გაიკვლევს ღვთისა და წმინდა ეკლესიისაკენ..."

**გოგი ხარაბაძემ დასძინა:**

„ბიბლია არის ჩემი ფარიც, რომელიც დამიცავს, და მახვილიც, რომლითაც დავიცავ...

...აქ ამოიკითხავ, რას ნიშნავს რწმენა, ღირსება, თავგანწირვა, პასუხისმგებლობა. ის გასწავლის, როგორ მიხვიდე ღმერთთან. რისთვის ღირს სიცოცხლე და რისთვის არ ღირს სიკვდილი; როგორ მოექცე მშობელს და როგორ არ უნდა მოექცე შვილს; როგორ „აღავლინო შენი მიწის ხსოვნა ლხინის სათავეში, დევნილობისას" და როგორ არ „იმღერო უფლის სიმღერა უცხო მიწაზე", როგორ დახვდე მტერს და რა მიაგებო მოყვასს... გასწავლის, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ჩემი ღრმა რწმენით, ყველას აქვს თავისი ასპარეზი. მე ჩემი ასპარეზი ავირჩიე. „ბიბლიაზე" მუშაობისას უწმიდესის ლოცვა-კურთხევა და სულიერი წინამძღოლობა იყო ჩემი ნების წარმმართველი...

ვინ იცის, ბიბლია რამდენჯერ გადაუწერიათ მონასტრებში ქართველ ბერებს, როგორი რუდუნებით გამოჰყავდათ თითოეული ასო-ბგერა, როგორ აღასრულებდნენ უდიდეს სამსახურს ერის ცნობიერებისთვის. გავიდა დრო და კალიგრაფის შრომა ბეჭდურმა მედიამ შეცვალა, ახლა, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, მარადიული წიგნის აუდიოვერსია შეიქმნა. ეს საქმე, მართლაც, საშვილიშვილოა. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ბიბლიას ნაზიარები შვილები".

**გივი შეყილაძე**

**P.S.** ეს ვრცელი ინფორმაცია სრულყოფილი ვერ იქნება, ხაზგასმით თუ არ მოვიხსენიებთ ღვაწლს ღირსეული მამულიშვილის, დიდი მეცენატის ბადრი პატარკაციშვილისას, რომლის თანადგომამაც განაპირობა, საქართველოს მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო ბიბლიის აუდიოვერსია.




# პრემიერი ულოცავს!

თავისი ფენომენალური ნიჭისა და თავდაუზოგავი შრომის წყალობით, ნონა გაფრინდაშვილმა ჩვენი ქვეყანა მთელ მსოფლიოს გააცნო, მისი სახელი საჭადრაკო სამყაროში დღემდე ხმამაღლა ისმის, რაც ჩვენთვის, მისი გულშემატკივრებისთვის, განსაკუთრებით საამაყო და სასიხარულოა.

დღეგრძელობას ვუსურვებ ქალბატონ ნონას, ჯანმრთელობა და მხნეობა არ მოჰკლებოდეს ამ მართლაც დიდ პიროვნებასა და უდიდეს პატრიოტს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება სამშობლოს მიუძღვნა.

**ირაკლი ღარიბაშვილი**

# ღირსეულ წინაპართა ღირსეული შთამომავალი

**მარადიულ დედოფალს ძლევამოსილ ბრძოლათა გადატანა დაბადებიდანვე დაებედა. იგი ხომ ქვეყნიერებას გაგანია მეორე მსოფლიო ომის ბობოქარ დღეებში და დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიან მოვლენათა განვითარების წინ მოევლინა, ქართულმა გენმა კაცობრიობა ფაშიზმისგან რომ იხსნა. ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის ერთ-ერთი ამფრიალებელი, საჭადრაკო გვირგვინოსნის მსგავსად, ძირძველი კოლხეთის შვილი რომ გახლავთ. დიახ, ისტორიული ფაქტები ერთმანეთს უსაფუძვლოდ არ ემთხვევა.**

**ჩამოვთვალოთ ჩვენი სწორუპოვარი თანამედროვის ტიტულები? ვფიქრობთ, ზედმეტი იქნება – იგი ხომ XX საუკუნის საუკეთესო ქართველი სპორტსმენი მანდილოსანი და საყოველთაო სახალხო სიყვარულით გასხივოსნებული უდიდესი ერისქალია! დაგვეთანხმებით, შარავანდედის დასადგმელად ესეც სავსებით საკმარისია.**

**გუშინ ნონა გაფრინდაშვილს 82 წელი შეუსრულდა. მადლიერების გრძნობით ვულოცავთ და დღეგრძელობას ვუსურვებთ სამშობლოს სიამაყეს!**




# დუბლი გერმანიაში

**საქართველოს ქალთა ნაკრების წევრები მერი არაბიძე, ნინო ბაციაშვილი და ლელა ჯავახიშვილი გერმანიის საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებულები გახდნენ.**

ქართველი დიდოსტატები „SK Schwabisch Hall“-ის სახელით ასპარეზობდნენ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მის მიღწევაში.

ასევე წარმატებით იასპარეზა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა თანატოლთა შორის **კესარია მგელაძემ** გერმანიაშივე დასრულებულ საერთაშორისო ტურნირზე „ffene NRW-Einzelmeisterschaft“ 2023.

მან 9-იდან 5,5 ქულა დააგროვა, ქალთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა და 44 ქულა შემატა საკუთარ რეიტინგს.

ჩვენი კაცი

# ევროპა მიანდეს

**გაჩო ხურციძე მსოფლიო რაგბის კონსულტანტი გახდა. ის მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა. ეს მსოფლიო რაგბის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც ასეთ მაღალ პოზიციაზე ქართველი იმუშავებს და ევროპაში – საქართველოს, ნიდერლანდებს, ესპანეთს, პორტუგალიას, რუმინეთს და ბელგიას – მაღალი მიღწევების მიმართულებით გაუწევს კონსულტაციას, რათა მათი განვითარება მსოფლიო რაგბის სტანდარტების შესაბამისად მოხდეს.**



გაჩო ხურციძე საქართველოს რაგბის კავშირში 2008 – 2022 წლების პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების, მაღალი მიღწევების, ოპერაციების და აღმასრულებელი დირექტორის პოსტებზე მუშაობდა. ის 2011 წელს საქართველოში მსოფლიო ალაფის, ხოლო 2017 წელს 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის ტურნირების დირექტორი იყო. ორივე ეს ტურნირი საუკეთესოდ აღიარეს ანალოგიურ ტურნირებს შორის. მისი ინიციატივით 2021 წელს პირველი ქართული სარაგბო პროფესიონალური ფრენჩაიზი – შავი ლომი შეიქმნა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული რაგბის ბოლოდროინდელ წარმატებებში.

**„ჩემთვის დიდი პატივია ასეთ თანამდებობაზე მუშაობა და მსოფლიო რაგბისგან გამორჩეული დაფასება. მადლიერი ვარ ამ შემოთავაზების, რაც საშუალებას მომცემს ჩემი წვლილი შევიტანო როგორც მთლიანად ევროპული რაგბის განვითარებაში, აგრეთვე საქართველოსაც მოვახმარო ჩემი ცოდნა და გამოცდილება, ამჯერად გევრად უფრო მაღალი ნდობით. ვფიქრობ, ჩემი დანიშვნა ამ პოზიციაზე მთლიანად ქართული რაგბის დაფასებაა“** – განაცხადა გაჩო ხურციძემ.

დებიუტი

**როგორც უკვე გაუწყეთ, საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები პირველად იასპარეზებს ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც 10-28 იანვარს გერმანიაში გაიმართება.**

**ჩვენი მეტოქეების ვინაობა 10 მაისს დიუსელდორფში ჩატარებული კენჭისყრის შედეგად გაირკვევა.**

ევროპის ჩემპიონატი 6 ქალაქში მოეწყობა – დიუსელდორფი, კიოლნი, ბერლინი, ჰამბურგი, მანჰეიმი, მიუნხენი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გახსნითი თამაშები დიუსელდორფში შედგება, ხოლო ფინალს კიოლნის Lanexss Arena უმასპინძლებს.

ევროპის ჩემპიონატს 3 დებიუტანტი ეყოლება: ფარერის კუნძულები, საბერძნეთი და საქართველო. სამივე გუნდი მესამე ადგილით მოხვდა ფინალურ ეტაპზე. ამასთან, რუმინეთი ევროპის ჩემპიონატზე 1996 წლის შემდეგ პირველად იასპარეზებს.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ჩვენი გუნდისთვის გადამწყვეტი გახდა უნგრეთთან მოპოვებული გამარჯვება, რომლის შედეგად ვაჯობეთ მთავარ კონკურენტ იტალიას.



# წილისყრის წინ

**ევროპის ჩემპიონატზე კვალიფიკაციის შედეგად გასული გუნდები:**

**ჯგუფი I:** პორტუგალია, მაკედონია.

**ჯგუფი II:** ნორვეგია, სერბეთი.

**ჯგუფი III**: ისლანდია, ჩეხეთი.

**ჯგუფი IV:** ავსტრია, რუმინეთი, ფარერები.

**ჯგუფი V:** ნიდერლანდები, ხორვატეთი, საბერძნეთი.

**ჯგუფი VI:** უნგრეთი, შვეიცარია, საქართველო.

**ჯგუფი VII:** სლოვენია, ბოსნია ჰერცეგოვინა, მონტენეგრო.

**ჯგუფი VIII**: საფრანგეთი, პოლონეთი.

ისინი შეუერთდებიან გერმანიას (მასპინძელი), შვედეთს, ესპანეთს, დანიას (EHF EURO 2022-ის საუკეთესო 3 გუნდი).

ჯამში ევროპის ჩემპიონატზე 24 გუნდი იასპარეზებს, რომელთაგან ჩამოყალიბდება 6 ჯგუფი და პლეიოფში 12 ნაკრები ითამაშებს, ხოლო ქვედა 12 გუნდი ქულების მიხედვით განაწილდება პოზიციებზე.

**კენჭისყრისთვის ჩამოყალიბებულია 4 კალათა შემდეგი მოცემულობით:**

**I კალათა** შვედეთი, დანია, ნორვეგია, ესპანეთი, საფრანგეთი, ისლანდია.

**II კალათა** გერმანია, სლოვენია, პორტუგალია, ნიდერლანდები, უნგრეთი, ავსტრია.

**III კალათა** ხორვატეთი, პოლონეთი, სერბეთი, ბოსნია ჰერცეგოვინა, ჩეხეთი, ჩრდილოეთ მაკედონია.

**IV კალათა** შვეიცარია, მონტენეგრო, საქართველო, რუმინეთი, საბერძნეთი, ფარერის კუნძულები.

ლეგიონერი

# „კრემონეზეს“ მწვრთნელი ლოჩოშვილს აქებს



**„კრემონეზეს“ მთავარმა მწვრთნელმა დავიდე ბალარდინიმ ლუკა ლოჩოშვილის შესახებ ისაუბრა და ქართველი მცველი შეაქო.**

როგორც იტალიელმა სპეციალისტმა განაცხადა, ლუკა ჭკვიანი ბიჭი და ძლიერი ფეხბურთელია, რომელსაც განვითარება შეუძლია.

**„ლოჩოშვილი 4-მცველიან სქემაში უკეთ თამაშობს? ჩემი აზრით, ლუკა ძლიერი ფეხბურთელია, ეს მისი პირველი სეზონია იტალიაში. შესაძლოა არის მომენტები, როცა ყურადღება ეფანტება, მაგრამ არა იმიტომ, რომ არ სურს კონცენტრირებული იყოს, არამედ იმიტომ, რომ განსხვავებული სტილის ფეხბურთიდან მოვიდა. ის ძლიერი მოთამაშეა, ჭკვიანი და სერიოზული ბიჭი, მას მხოლოდ გაუმჯობესება შეუძლია“,** – თქვა ბალარდინიმ.

შეგახსენებთ, რომ ლუკა ლოჩოშვილს მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირზე 22 მატჩი აქვს ჩატარებული და 1 გოლი გაიტანა, ერთხელ კი საგოლე პასი გააკეთა. „კრემონეზე“ 20 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა, მომდევნო ტურში კი მილანს ესტუმრება.

ფორმულა – 1

# კიდევ სამი წლით

**აზერბაიჯანმა ფორმულა 1-თან კონტრაქტი სამი წლით გააგრძელა, რაც იმას ნიშნავს, რომ მის კალენდარში 2026 წლამდე დარჩება. ეს ინფორმაცია ბაქოში, აზერბაიჯანის დიდი პრიზის რბოლის დღეს გამოცხადდა.**

ბაქო ფორმულა 1-ის კალენდარში 2016 წლიდანაა შეტანილი და მისმა ტრასამ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა პილოტებსა და მაყურებელთა შორის, ხოლო იქაური ბულვარის მონაკვეთი ერთ-ერთი ყველაზე გრძელია კალენდარში.

ბაქოში მიმდინარე სეზონში პირველი სპრინტ-რბოლა გაიმართა. აქამდე იქ რბოლა ორჯერ არავის ჰქონდა მოგებული, მაგრამ პირველმა ეს მექსიკელმა სერხიო პერესმა შეძლო.

**„ბაქოს ტრეკმა ფორმულა 1-ში უზარმაზარი პოპულარობა მოიპოვა. ეს გამორჩეული ტრეკია, რომელიც მაყურებელს ყოველთვის სთავაზობს დრამას და საინტერესო სანახაობას. ამიტომ მოხარულნი ვართ, ჩვენს შორის ურთიერთობის გაგრძელება რომ შევძელით“,** – ამბობს ფორმულა 1-ის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი **სტეფანო დომენიკალი.**



# გიორგობა




6 მაისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია გიორგობას დღესასწაულობს.

წმიდა დიდმოწამე გიორგი საქართველოს განსაკუთრებული წმინდანია ქრისტიანულ სამყაროში.

...გადმოცემით ცნობილია, რომ წმინდა გიორგი ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში.

საქართველოში ეკლესიების უმრავლესობა წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. ქართველებმა წელიწადის ერთ-ერთ თვეს გიორგობისთვე უწოდეს!

...დოკლეტიანემ ბრძანა გიორგისა და დედოფალ ალექსანდრას სიკვდილით დასჯა, რაც მალე აღასრულეს. ორივე ქალაქგარეთ წაიყვანეს და როდესაც დასჯის ადგილზე მიიყვანეს, დედოფალმა დასჯამდე სული განუტევა, ხოლო გიორგის თავი მოჰკვეთეს.

ამიტომაცაა, რომ წმინდა დიდმოწამე გიორგის და დედოფალ ალექსანდრას ხსენება ერთ დღესაა დაწესებული.

სრულიად საქართველო გიორგობას გილოცავთ!

**გიული ლიპარტია**

## სანთელი

# გური ჯანაშია

## მოსკოვშიც საქართველოს ეფერებოდა!

**ქართველ მედიკოსთა რიგებს გამოაკლდა მაღალი კვალიფიკაციის მედიკოსი, პროფესიით კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გური ჯანაშია.**

**დაიბადა 1946 წელს ქ. ზუგდიდში, მედიკოსების ოჯახში. 1964 წელს წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1969 წელს ასევე წარჩინებით – საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტი. შემდგომ სწავლა განაგრძო მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები და გახდა ამავე ინსტიტუტის კათედრის გამგე. იგი როგორც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სამედიცინო სფეროში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით არაერთმა ახალგაზრდა დისერტანტმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.**

**მისმა პროფესიონალიზმმა, კეთილშობილურმა თვისებებმა და საქმისადმი ერთგულებამ, არაერთ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე, მათ შორის საქართველოდან ჩასული პაციენტები მუდმივი ყურადღების ქვეშ იმყოფებოდნენ მკურნალობის შემდგომ პერიოდში რეაბილიტაციის დროსაც.**

**იგი იყო საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტი და დიდი მოსიყვარულე თავისი სამშობლოსი.**

**წავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან უაღრესად კეთილშობილი, მაღალი კვალიფიკაციის დასტაქარი, დედმამიშვილის, ნათესავებისა და მეგობრების დიდად მოსიყვარულე პიროვნება.**

**მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება იმ ადამიანებში, რომლებსაც ჰქონდათ ბატონ გურისთან დედმამიშვილური, ნათესაური, მეგობრული თუ საქმიანი ურთიერთობა.**

**უფალმა დაუმკვიდროს ბატონ გურის მარადიული სასუფეველი.**

**ამ მწუხარების გამო ვუსამძიმრებთ და გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ გურის საყვარელ ძმას, ბატონ თეიმურაზ ჯანაშიას და მის ოჯახს.**

**საქართველოს მშენებელთა ფედერაცია,**

**სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“,**

**მერაბ ნიკოლაიშვილი, ილია ქევხიშვილი, ნოდარ თოფურია, ვაჟა ადეიშვილი, ირმა ხარანაული, თანგული ფირცხალავა, მარიამ დანელია, იუზა თოფურია, კოტე შენგელია, ზაურ ბერუაშვილი, ბესიკ თულაშვილი, ზურაბ ბურკაძე, რევაზ გუნცაძე.**

# ლარს მოსახლეობაში ნდობა დაუბრუნდა

(მეორე გვერდიდან)

ამის გათვალისწინებით, რატომ არ მცირდება პროდუქციაზე ფასები იმ მასშტაბით, როგორც მყარდება ლარი, ჭარაია აღნიშნავს, რომ ფასების კლებას ხელს უნდა უწყობდეს რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის, სატრანზიტო გადაზიდვებზე ფასის კლება, ან იმპორტირებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ასევე გადასახადების შემცირება.

გამყარების მიზეზებზე საუბრობს საბანკო სფეროს სპეციალისტი, პროფესორი **ლია ელიავაც**. მისი ვარაუდით, რომ ლარი კიდევ გამყარდება და ამას ხელს საგარეო ფაქტორებიც უწყობს.

**„საქართველოში კურსის გამყარება პირდაპირ დამოკიდებულია ვალუტის შემოდინებაზე. კომერციულ ბანკებს რაც უფრო მეტი ვალუტა გააჩნიათ, რა თქმა უნდა, ლარი მით უფრო მყარი იქნება. ამიტომ, თუ უცხოური ვალუტის შემოდინების ტენდენცია გაგრძელდება, კურსის გამყარება გაგრძელდება. გარდა ამისა, თვით აშშ-ს ვალუტაც განიცდის დევალვაციას და ეს გარემოებაც, მოქმედებს ლარის გაძლიერებაზე. დოლარის ბედი ბევრად არის დამოკიდებული მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებზე. მაგალითად, რიგი ქვეყანები უარს ამბობენ დოლარში ანგარიშსწორებაზე და გადადიან ეროვნულ ვალუტაზე. დოლარის სიმყარის საფრთხეებზე საუბრობენ თვით შეერთებულ შტატებშიც და ძალიან დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ. შესაბამისად, ეს ტენდენცია ნაწილობრივ აისახება კიდეც ლარის კურსზე საქართველოში“,** – განაცხადა **ელიავამ.**

**ბექა დანელია**

# AIR BALTIC-მა რიგა-ბათუმის მიმართულებით ფრენები განაახლა

**2023 წლის ზაფხულის სანავიგაციო სეზონზე პირველი რეისით ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში ლატვიის დედაქალაქიდან 119 მგზავრი ჩამოფრინდა.**

Air Baltic-ი რიგა-ბათუმის მიმართულებაზე ზაფხულის სეზონის განმავლობაში კვირაში ორჯერ იფრენს. ავიაკომპანია რეგულარულ რეისებს ასრულებს რიგა-თბილისის მიმართულებაზე. Air Baltic-ი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კვირაში ხუთი სიხშირით დაფრინავს.

# თბილისში რუსულ ნომრიან ავტობუსს წითელი საღებავი შეასხეს

**გუშინ ხმაური იყო თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე საათი ავტობუსი იყო გაჩერებული რუსული სანომრე ნიშნებით. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდებმა პროტესტის ნიშნად, სატრანსპორტო საშუალებას წითელი საღებავი შეასხეს და კვერცხები დაუშინეს.**

მოქალაქეების განმარტებით, ავტობუსის საქარე მინაზე გაკრული იყო რუსეთის პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის ემბლემა.

**„წინ, საქარე მინაზე ავტობუსს ჰქონდა რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის უსაფრთხოების სამსახურის სიმბოლიკა და ეს საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ ჩვენ, ქართველები, დავხვდეთ შესაბამისად და გავუმასპინძლდეთ. მე თუ მკითხავთ, ახლა ეს აუტობუსი უფრო ლამაზად გამოიყურება. ამბობენ, ტურისტები გვყავსო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? ტურისტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ძალოვანი რუსეთიდან“,** – განაცხადა აქტივისტმა ტიტე გედევანიძემ TV პირველთან.



**ფოტოები მომხდარის ადგილიდან „ანტისაოკუპაციო მოძრაობის“ ლიდერმა დავით ქაცარავამ გაავრცელა.**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლაშა ჯელიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლაშა ჯელია (პ/ნ 37001048399), სამტრედია, ს. დანირი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, დიდველი, კორპ. 2, სართ. 3, ბინა №23 (საკადასტრო კოდი: 64.30.04.078.02.023 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 45745.67 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 4 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 22 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP88868423;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 888684

6. **მოვალე:** ლაშა ჯელია (პ/ნ 37001048399), სამტრედია, ს. დანირი
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP88868423; ლოტის ნომერი: 888684).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 22 მაისის 12:00 საათამდე.



## პატრიცია დელონის გამოფენა თელავში

**თელავის ისტორიულ მუზეუმში ებრაელი ხელოვანი ქალის პატრიცია დელონის პერსონალური გამოფენა, სახელწოდებით „შენს საუფლოში გავბედე მოსვლა“ გაიხსნა.**

თვითნასწავლმა მხატვარმა ექსპოზიციაზე ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი ურთიერთობის პატივსაცემად, სიმბოლურად 26 ფერწერული ტილო გამოფინა. ერეკლე მეფის ციხის ტერიტორიაზე ტილოები 16 მაისამდე იქნება გამოფენილი.

## მარნეული და საგარეჯო ევროპის საფესტივალო ქალაქებია

**„ფონდი კავკასია ნიდერლანდების სამეფო კულტურის და მეცნიერების საერთაშორისო ცენტრის“ მიწვევით, მარნეულისა და საგარეჯოს დელეგაციებმა, ესპანეთის ქალაქ ჟირონაში ხელოვნებისა და კულტურის ფესტივალების საერთაშორისო სამიტზე მიიღეს მონაწილეობა.**

ვიზიტის ფარგლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, შეხვედროდნენ 40-მდე ევროპული საფესტივალო ქალაქის მერს და 200 დელეგატს სხვადასხვა ქვეყნიდან. პროგრამა მოიცავდა პლენარულ სესიებს, ძირითად გამოსვლებს, სამუშაო შეხვედრებს, სხვადასხვა კულტურულ აქტივობებს.

ეს პლატფორმა, მარნეულსა და საგარეჯოს, კულტურისა და ტურიზმის სფეროების მიმართულებით საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას და მომავალში ევროპის საფესტივალო ქალაქებთან თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობას მისცემს.

## ადამიანის ტვინზე უფრო ძლიერი...



**უახლოეს მომავალში ხელოვნური ინტელექტი შესაძლოა ადამიანზე ჭკვიანი გახდეს,** – აღნიშნული განცხადება ხელოვნური ინტელექტის ნათლიად წოდებულმა ჯეფრი ჰინტონმა გააკეთა. მან კომპანია „გუგლში“ დაკავებული თანამდებობა დატოვა და განაცხადა, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარების კუთხით საქმიანობას ნანობს, რადგან ამჟამინდელი ჩატბოტები უკვე აშინებს.

ჰინტონის თქმით, ხელოვნური ინტელექტი მალე იმაზე მეტი ინფორმაციის გადამუშავებას შეძლებს, ვიდრე ეს ადამიანის ტვინს შეუძლია, რაც შესაძლოა, ბოროტი მიზნებისთვის გამოიყენონ.

## პედრო პასკალი და „გლადიატორის“ გაგრძელება



**პედრო პასკალი რეჟისორ რიდლი სკოტის „გლადიატორის“ სიქველში გადაღების შესახებ მოლაპარაკებების ბოლო სტადიაზეა.**

ამ ეტაპზე უცნობია, რა როლი შეხვდება „უკანასკნელი ჩვენგანისა“ და „მანდალორელის“ ვარსკვლავს. სურათში ასევე მონაწილეობენ: პოლ მესკალი, ბარი კეოგანი, დენზელ ვაშინგტონი, ჯოზეფ ქუინი და კონი ნილსენი, რომელიც პირველ „გლადიატორში“ თამაშობდა. ფილმის პრემიერა 2024 წლის ნოემბერში უნდა შედგეს. „გლადიატორი“ ეკრანებზე 2000 წელს გამოვიდა და 5 „ოსკარი“ მიიღო, მათ შორის ნომინაციაში „საუკეთესო ფილმი“.

## ხელოვნება კი არა, მკრეხელობაა!

**პოლონეთსა და იტალიაში დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია გამოფენამ ევროპარლამენტში, სადაც იესო ქრისტე გეების გარემოცვაშია წარმოდგენილი. ქრისტეს მოციქულები მაზოხისტური მონების სახით არიან წარმოჩენილნი.**

გამოფენა მემარცხენე პოლიტიკოსების ჯგუფმა წარმოადგინა, რომელშიც კომუნისტი და ულტრამემარცხენე ძალები შედიან. ნახატების ავტორია შვედი მხატვარი ელისაბედ ოლსონი.

**„ეს არის მკრეხელობა, შეუძლებელია ევროპაში ქრისტიანულ ფესვებზე საუბარი, როდესაც ბრიუსელის დაწესებულებები ლგბტ-იესოს გამოფენას მხარს უჭერენ. ქრისტიანების წინააღმდეგ მსგავსი პროვოკაციები სიახლეს არ წარმოადგენს, როდესაც ასეთი უგემოვნო რამეებს ხელოვნების ნიმუშებად ასაღებენ, ევროპარლამენტში ასეთი შეურაცხმყოფელი გამოფენის ჩატარება ძალზე უადგილოა.**

**ეს გადაწყვეტილება შვედეთის წარმომადგენლებმა მიიღეს, რომელიც ახლა ევროპულ საბჭოში თავმჯდომარე ქვეყანაა,“ – წერს გამოცემა** news.italy24.



გამოცემის ინფორმაციით, ნახატის ავტორი ელისაბედ ოლსონი მსგავსი პროვოკაციებით ადრეც იყო ცნობილი, კერძოდ მან 1998 წელს Ecce Homo შვედეთის ერთ-ერთ ტაძარში დადგა. იტალიური გამოცემა წერს, რომ სამხატვრო ხელოვნების თავისუფლების პატივისცემის მიუხედავად, ევროპარლამენტი ნამდვილად არ არის ის ადგილი, სადაც მკრეხელური და შეურაცხმყოფელი ნახატების გამოფენები უნდა იყოს წარმოდგენილი.

## 20 წლის შემდეგ კვლავ გაერთიანდნენ



კიანუ რივზის როკ-ჯგუფი Dogstar-ი ახალ მუსიკას 2023 წლის ზაფხულში გამოუშვებს.

**„ამ ზაფხულში ახალ მუსიკას გამოვუშვებთ, შემდეგ კი რამდენიმე კონცერტს ჩავატარებთ. ჩვენი პირველი სიმღერის მხარდასაჭერად კი ვიდეორგოლის გადაღებას ვგეგმავთ“,** – განაცხადეს ჯგუფის წარმომადგენლებმა. ჯგუფი Dogstar-ი ლოს-ანჯელესში, 1990-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა, რივზისა და რობერტ მეილჰაუსის სუპერმარკეტში შემთხვევით შეხვედრის შემდეგ. მოგვიანებით დუეტს გრეგ მილერი შეუერთდა, თუმცა ის ბრეტ დომროუზმა შეცვალა. ჯგუფი 2002 წელს დაიშალა, თუმცა 20 წლის შემდეგ ტრიოს წევრებმა სცენაზე დაბრუნება გადაწყვიტეს.

## AEROSMITH-ის გამოსამშვიდობებელი ტური

**ლეგენდარულმა ამერიკულმა როკ-ჯგუფმა Aerosmith გამოსამშვიდობებელი ტური დააანონსა. ჯგუფი 40 კონცერტს აშშ-სა და კანადაში გამართავს. ტურის პირველი კონცერტი 2 სექტემბერს, ფილადელფიაში გაიმართება, ბოლო კი 2024 წლის 26 იანვარს – მონრეალში.**



ევროპაში შოუების შესახებ ინფორმაცია ამ ეტაპზე არ გავრცელებულა. ერთ-ერთი შოუ ბოსტონში გაიმართა, სადაც ჯგუფის ისტორია 1970-იან წლებში დაიწყო. 2017 წელს Aerosmith-მა კონცერტი საქართველოშიც „ბლექ სი არენაზე“ გამართა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 8 მაისს**

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4940; ევრო - 2.7449;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1237;
100 რუბლი - 3.1153; თურქული ლირა - 0.1294;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4697;
1000 სომხური დრამი - 6.4601

### ამინდი 4 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +3, | დღე +21 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე +19 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +4, | დღე +22 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე +20 |
| თბილისი: | ღამე | +7, | დღე +20 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge